



# ცარცული სამსახური

ISSN 1987-8729  
  
97719871872003

სამსახურის-საინფორმაციო ჟურნალი

№8 (64), აგვისტო, 2016



რეგიონული  
ლაბორატორიების  
გაძლიერება



ზუგდიდის რეგიონული  
ლაბორატორია

სსრ საქართველოს ცოდნულის მიუნიონის სამინისტროს ლაპორატორია  
d. თბილისი, ვ.გორგავალის ქ.49  
ტელ.: (995 32) 2 53 0968

[www.lma.gov.ge](http://www.lma.gov.ge)





# სტიმულანგი



მინიჭებული  
აქცის ორგანული  
სერტიფიკატი

დაბალი  
ლირებულება  
და მარტივი  
გამოყენება

არ არსებობს  
მავნე ეფექტი და უკურვენება

გვ.20



ზრდის მოსავლიანობას 20-25%-ით



თხევადი,  
ფესვგარეშე  
გამოკვების  
სასუქი – ზრდისა  
და ნაყოფიერების  
სტიმულატორი

განსაკუთრებით  
ეფექტურია  
ორგანულ  
მეურნეობებში  
და ეკოლოგიურად  
სუფთა  
პროდუქციის  
მოსავანად



მწარმოებელი  
შპს "ბიოტექნი"

მის.: ქ.თბილისი, იუმაშევის 8

ტელ.: (+995 32) 2 74 63 96; 595 80 80 81

Web - [www.agrovet.ge](http://www.agrovet.ge)

E-mail: [info@agrovet.ge](mailto:info@agrovet.ge)

## ორგანიზაციული საინფორმაციო ჟურნალი



ახალი აგრარული  
საქართველო

AKHALI AGRARULI SAQARTVELO

(New Agrarian Georgia)

ყოველთვიური სამეცნიერო-  
საინფორმაციო ჟურნალი.

Monthly scientific-informative magazine  
აგვისტო, 2016 ნომები

№8 (64)

### სარედაქციო კოლეგია:

შოთა მაჭარაშვილი (მთ. რედაქტორი),  
ნუშავარ ებარიძე, რეზონ ჯაბბიძე, მიხილ  
სოხმაძე, თამარ სანიაშვილი, ნორა ბრეგვაძე,  
ბექ გრიმშვილი, გიორგი ბარისაშვილი  
(მეცნიერა-მეცნიერობის რედაქტორი), თამარ გუგუშვილი (მეცნიერა-მეცნიერობის რედაქტორი).

editor of English version Tamta Gugushvili

### სამეცნიერო საბჭო:

აკადემიური საბჭო, მეცნიერებათა  
დოქტორები, პროფესორები:  
რეზონ მახარიძელი (თავმჯდომარე),  
გურამ ალექსიძე, ზაურ ფუტკარაძე,  
ნორა ჩხარტიშვილი, ნუშავარ ებარიძე,  
პაატა კოლუშვილი, ელგუჯა შაფაშვიძე,  
შოთა ჭალაგანიძე, წვავად ბრეგვაძე,  
ელიუა გუგუშვილი, გოგოლი მარგველაშვილი,  
ანა გულაძე, ლევან უჯმაჯურიძე, ზაურ  
ჯულუხიძე, ზურაბ ჯინჯერაძე, ქისტო  
კანიაშვილი, ადოლ ტეკმელიშვილი, ნატო  
კაცაძე, კუშური ქერია, ქაბ ლაშხი, ჯემალ  
კაცრტაძე, ნუშავარ სარკველაძე, თენგიზ  
ჭერიშვილი, ზურაბ ლოლაძე, კობა კობალაძე.

### გამოცემელი:

„აგრარული სექტორის კომპანიების ასოციაცია“ (ასკა);  
Association of Agrarian Sector Companies (ASCA).  
საკართველოს რეგიონული კურონმდებარი  
პრიორიტეტების კლუბით ცენტრი „რეგიონიკა“;  
Regionica — Georgian Research Center for Regional  
Economic Priorities.  
რედაქციის მისამართი:  
თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53  
ტელ/ტელ: +995 (032) 2 90-50-00  
599 16-18-31  
Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53  
[www.regionica.org/journal.html](http://www.regionica.org/journal.html)

ელ-ფოსტა: [agroasca@gmail.com](mailto:agroasca@gmail.com)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა  
„ივერიელი“  
(ინტერნეტ-ბაზისოფუა)  
[www.dspace.nplg.gov.ge](http://www.dspace.nplg.gov.ge)  
ახალი აგრარული საქრთველო

დააკაბლონა გორგი მაისურაძე  
ფრენალი ხელმძღვანელობს  
თავისუფალი პრეზიდიათ.  
The journal acts in accordance with the principles of free press.  
© საერთო უფლება დაცულია.  
All rights reserved.  
რეფერირებადა 2011 წლიდან  
დაიბჭიდა შპს „გამომცემლობა გრიფონში“

WORLD TECHNIC  
მსოფლიო ტექნიკა  
[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge)



5

### საქაები აროდუები აღაშავის მატერიალური კულტურის არსებითი უმაღვეველი ნაიდის

ქართული კვების კულტურაში  
მცენარეული კომპონენტების ძირი-  
თადი მასა მოდის მიწათმოქმედე-  
ბიდან.



20

### ბოცვრის მრავალფორვანი ჯიშებითა და მცვანი კვერცხსმებელი ქათმით სახელგათხმეული ფირმარი კატარი გლდანიდან

თენგიზს სიამოვნებას ანიჭებს  
საქმე, რომელსაც ყოველდღიურად  
აკეთებს და ოჯახის რჩენასაც თავი-  
სი ფერმერული საქმიანობის შედე-  
გად ახერხებს.



24

### სენაჟის მიზანების და დამზადების ტექნიკური განვითარების საფუძვლები

სენაჟი შეიძლება დამზადდეს ნე-  
ბისმიერი ბალახისაგან, მაგრამ  
განსაკუთრებით მაღალი ხარისხის  
სენაჟი მიიღება მრავალწლიანი პარ-  
კისნებისაგან.

გრძელდება ხელოვნობა  
ურნალ

### ეპიროკე სამუშაოების დანართი

ერთი ცლით ურნალი ხელოვნობის  
დოკუმენტის შედეგის 24 ლარს,  
ნახვაზე 12 ლარს.

ხელოვნობის გაცორმითა შესაძლებელია პრესის  
განვითარების სამინისტროს მიზანის  
„ელვა პი“ (ტელ.: (032) 238 26 73; (032) 238 26 74);  
„პრესი 2012“ (ტელ.: 591 01 33 22; 032 2 34 11 40;  
032 234 09 40);  
ურნალ „აგრარული სამინისტროს“ რეაქციაში.

ინსახორი:  
თბილისი, მორგასლის ქ.№51,  
ტელ.: 599 16 18 31.  
ელ.ფოსტა: [agroasca@gmail.com](mailto:agroasca@gmail.com)

### ფინანსურა ეროვნული მოწოდების

### სალგარელაგის უსახებ მიზანი იცოდება აქვთ

### 8 მარკაზე მემკვრეობა რდილობა

### 10 გადასაცავი კულტურის მავნე ორგანიზაციის

### 13 მარკაზე მოწოდების ასაღობავის გადასაცავი

### 14 ინვანის კულტურა საქართველოში და მოვლა-მოწვანის აროგანება

### 18 მარკაზე გირლოგის გადასაცავი

### 19 გაეთ კითხა აგროცომობა?

### 20 „სტილური განვითარების“ უსავალი და კამერაგის მომავალი

სახილოვანი და კაელოვანი  
კულტურული განვითარების  
სახარტუ-შეგროვებელი  
მცირევაგარიბის მარენა

22

### 29 გაეთ კითხა ვატერინარიანობა?


### 30 კათოლიკოგილი კაცი, მეგობარი და კოლეგა

## ფერმერის კუთხი



მოგვწერეთ:

agroasca@gmail.com



შეგვიძლია კონკურენცია პრიბლების შესახებ,  
აღმოჩენით თქვენი მდგრადი რეაგირება, რა სახის დახმარებას საჭიროა თა  
და მიაწვდით თქვენი ხელი ადრისას.

მოგვწერეთ  
სამომავლო



## მომავლის ფერმერი / FARMER OF THE FUTURE

### ურცელი „ახალი აგრარული საქართველო“ გითხვის ფარილების კალდაკალ

ჩვენ ფერმერებისგან ხშირად ვისხვეთ უამრავ  
მნიშვნელოვან და არობლებაზე ისტორიებს, ზოგჯერ ამ  
ახაგის თვითმხილველებიც ვართ, მაგრამ ეს ყველაფერი  
ფართო საზოგადოებისა და სათანადო ინსტანციებისთვის  
ნაკლებად ცნობილია. ერთ-ერთი მიზანი ესაცაა, რომ  
ფერმერთა წინაშე ცამოშრილი არობლების, რასაც ისინი  
საქმიანობისას აცხდებიან, მოუგარებელი რჩება.

ამიტომ გადავწყვიტეთ, მოგმართოთ თქვენ, ფერმერებს,  
ნერილ მეურნეებს, მოგვწერეთ კონკრეტული პრობლემის  
შესახებ, აღწერეთ თქვენი მდგომარეობა, რა დახმარება  
გჭირდებათ, რათა მივაწვდინოთ თქვენი ხმა ადრესატამდე.  
თქვენი წერილი გამოქვეყნდება შურნალ „ახალ აგრარულ  
საქართველოში“ და განთავსდება ვებგვერდზე - [www.agro.ge](http://www.agro.ge)  
მასალები გამოგვიგზავნეთ ელ.ფოსტაზე: [agroasca@gmail.com](mailto:agroasca@gmail.com). ან რედაქტორში, მისამართზე: თბილისი, გორგასლის ქ.  
51, 53, ინდექსი: 0114

წერილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 2 თაბახის  
გვერდს (შრიფტი: *Sylfaen – 12 პნ.*).

გამოგვიგზავნეთ თქვენი ან თქვენი მდგომარეობის  
ამსახველი რამდენიმე თემატური ფოტო (ვიდეოკადრები  
არსებობის შემთხვევაში.).

სრულად მიუთითოთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია:  
სახელი და გვარი –

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი –  
რაიონი, სოფელი –

რედაქტია იტოვებს უფლებას, ისეთი მასალები, რომელიც  
შეიცავს უცენზურო, შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს, არ  
გამოაქვეყნოს.

## ფერმერების ევროპავილობა გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების გესახებ მფირი ინფორმაცია აქვთ

მცირე ზოგის ფერმერთა ნახევარს ევროპავ-  
შირთა გაფორმებული ასოცირების ხელშეკ-  
რულების და DCFTA-ს ფარგლებში არსებული  
ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია არ  
აქვს და, შესაბამისად, აღნიშნულ ვალდებუ-  
ლებებს პრატიკაში არ ახორციელებს – ამის  
შესახებ ახლადაც გამართულ კონფერენციაზე  
ეკონომიკური კვლევის პოლიტიკის ცენტრის  
(EPRC) აროგრამების გენერაცია ირინა გუ-  
ლულია ისაუბრა.

მისი თქმით, EPRC-ის მიერ წარმოდგენილი  
მცირე ზომის ფერმერთა საჭიროებების და ინ-  
ფორმირებულობის კვლევის შედეგების მიხედ-  
ვით, ფერმერთა რამდენიმე ძირითადი საჭიროე-  
ბაც გამოიკვეთა.

„კვლევაში წარმოდგენილია სასოფლო-სამეურ-  
ნეო პროდუქციის პირველადი მწარმოებლების და  
მცირე ზომის გადამამუშავებელი საწარმოების  
საჭიროებები. გამოკითხვა ჩატარდა საქართვე-  
ლოს 5 რეგიონში (კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა  
ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და გურია) და გამო-  
იყითხნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის  
პირველადი მწარმოებელები და მცირე ზომის გა-  
დამამუშავებელი სანარმოების თანამშრომლები.  
სულ 500 რესპონდენტი. გამოყენებული იქნა  
ნახევრადსტრუქტურული კითხვარი. რესპონდენ-  
ტები გამოიკითხენ კომპიუტერის მეშვეობით  
ჩატარებული სატელეფონო ინტერვიუს (CATI)  
მეთოდით“, – განმარტა ირინა გურულმა.

კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენ-  
ტთა დაახლოებით 80 პროცენტს დასაქმებული  
ჰყავს 5 ან ნაკლები ადამიანი;

– გამოკითხული 428 ფიზიკური პირიდან და  
მცირე საწარმოდან სულ 3-ს გააქვს ექსპორტ-  
ზე საკუთარი პროდუქცია. ისინი ტრადიციული  
ქართული პროდუქციის – 2 ლვინის და 1 ჩაის  
მწარმოებლები არიან;

– ფინანსურ რესურსებზე წვდომა და არასაკ-  
მარისი ინფრასტრუქტურა (მათ შორის მიწა)  
აგრარული პროდუქციის მწარმოებლებისთვის  
მთავარ ორ პრობლემად რჩება;

– მეცხოველეობით დაკავებულ რესპონ-  
დენტთა 1/3 აცხადებს, რომ არ სარგებლობს  
ვეტერინართა მომსახურებით. ამის მიზეზი  
როგორც ფინანსური, ისე ხელმისაწვდომობის  
პრობლემაა. გამოკითხვამ აჩვენა, რომ არც სა-  
საკლაობების გამოყენების ვალდებულებას ას-  
რულებს ყველა რესპონდენტი;

– გამოკითხულ რესპონდენტთა თითქმის 50%  
არ ასრულებს DCFTA-ის ხელშეკრულებით გათ-

ვალისწინებულ მოთხოვნებს მცენა-  
რეთა დაცვის ქიმიური და ბიოლო-  
გიური საშუალებების გამოყენების  
შესახებ ჩანაწერების წარმოების მი-  
მართულებით;

– გამოკითხულთა უმრავლესობა  
(53%) არ იყენებს ლაბორატორიულ  
კვლევებს; ამის ერთ-ერთი მიზეზი  
ლაბორატორიის ტერიტორიული სი-  
შორე და მომსახურების ფასებია;

– HACCP-ის დანერგვა, 2020 წლი-  
დან სავალდებულო იქნება მეცხო-  
ველებისა და მეცხოველეობის პრო-  
დუქციის მნარმოებელი საშუალო და  
მცირე ზომის ფერმერებისთვისაც.  
მიუხედავად ამისა, იმ რესპონდენტ-  
თა უმრავლესობა (73%), რომელთაც  
ამ სისტემის დანერგვა მოუწევთ, არ  
ფლობს ინფორმაციას ამ მოთხოვნე-  
ბის შესახებ;

– რესპონდენტთა 72%-ს არ აქვს ინ-  
ფორმაცია საქართველოს შედავათია-  
ნი საექსპორტო რეჟიმების თაობაზე;

ირინა გურულის განმარტებით,  
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის  
ცენტრის ექსპერტთა რეკომენდა-  
ციები გულისხმობს სახელმწიფოს  
მიერ აქცენტის გაკეთებას შემდეგ  
საკითხებზე:

– ევროკავშირთან გაფორმებუ-  
ლი DCFTA-ის შესახებ ფერმერების

უკეთ ინფორმირება და ცოდნის გა-  
დაცემა; ეფექტიანი რეგულირება,  
ევროკავშირის მოთხოვნებთან ჰარ-  
მონიზაცია;

– სახელმწიფო ინვესტიციების  
მიმართვა სასოფლო-სამეურნეო სა-  
ნარმოების ევროკავშირის მოთხოვ-  
ნებთან შესაბამისობაში მოყვანისთ-  
ვის;

– რეგიონული საკონსულტაციო  
ცენტრების როლის გაძლიერება;

– ხელისუფლებამ ხელი უნდა შე-  
უწყოს და უფრო აქტიურად მიმარ-  
თოს ძალისხმევა ფერმერთა ორგანი-  
ზაციების და დარგობ-  
რივი ასოციაციების  
შექმნისკენ;

– თესლისა და სა-  
თესლე მასალის სერ-  
ტიფიცირების თანა-  
მედროვე სქემების  
შემოღება და განხორ-  
ციელება;

– საქართველოს  
მთავრობა DCFTA-ს  
განიხილავს სოფლებსა  
და რეგიონებში ეკო-  
ნომიკის განვითარების  
უფრო ფართო კონტექ-  
სტში. სახელმწიფოს  
ძალისხმევა ასევე კონ-

ცენტრირებული უნდა იყოს სოფლის  
განვითარების და შემოსავლების  
წყაროების დივერსიფიკაციის მექა-  
ნიზმებზე.

აღნიშნული კვლევა, USAID-ის  
„სამოქალაქო საზოგადოების გან-  
ვითარებისა და მოქალაქეების ჩარ-  
თულობის პროექტის“ (ACCESS)

– „ევროკავშირის ასოცირების ხელ-  
შეკრულება და მისი გავლენა საქარ-  
თველოს სასოფლო-სამეურნეო სექ-  
ტორის კონკურენტუნარიანობაზე“  
ფარგლებში, ეკონომიკური პოლიტი-  
კის კვლევის ცენტრის (EPRC) მიერ  
განხორციელდა.



## ერთაზრდა

# საკვები პროდუქტი ადამიანის გაზირიალური კულტურის არსებითი უმაღლესობის ნაწილი

საქართველოში კვების სისტემის და კვების კულტურის განვითარებას  
ხელს უწყობდა და აყალიბებდა ეპოლოგიური გარემო, სამუშაოები პირო-  
გები, ძობვები და სოციალური მდგრადირება, ეთნოსის რელიგიურ-სა-  
კულური რეზინულურება.

საკვების სახეობა, საკვებანარმო-  
ების წესი, კვების პერიოდულობა,  
ყოველდღიური და რიტუალური  
საკვები და სუფრის ეტიკეტი ეთნო-  
სის კვების ხასიათს ქმნის. სხვაგვა-  
რად, კვების ხასიათი დაკავშირებუ-  
ლია ყოფითი კულტურის ბუნებრივ  
და სამეურნეო პირობებზე. მასზე  
გავლენას ახდენს ხალხის სოცია-  
ლურ-ეკონომიკური განვითარების  
დონე, ისტორიული გარემო, რელი-  
გია და ეთნოსთაშორისი კონტაქ-  
ტები.

საქართველოს ცალკეულ ისტორი-  
ულ-ეთნოგრაფიულ მხარეს ჰქონდა  
თავისი ბუნებრივი და სამეურნეო  
სპეციფიკა, რაც განაპირობებდა

ეთნიკური ჯგუფის კვების თავისე-  
ბურებას (საკვების სახეობა, დამზა-  
დების წესი, საკვების მიღების პერი-  
ოდულობა). ეკონომიკური ინტეგ-  
რაციის პროცესში, მთისა და ბარის  
ინტენსიური კონტაქტების შედეგად  
ჩამოყალიბდა ზოგადქართული კვე-  
ბის კულტურა.

ქართული კვების კულტურაში  
მცენარეული კომპონენტების ძი-  
რითადი მასა მოდის მიწათმოქმე-  
დებიდან. მისი შემავსებელი (და  
არა დამსმარე) ნაწილი შემგროვებ-  
ლობის პროდუქტი იყო. მეცხოვე-  
ლეობის განვითარებასთან ერთად,  
ცხოველური წარმოშობის პროდუქ-  
ტებიდან ნანადირევის ხვედრითი

წონა თანდათან მცირდებოდა და  
ბოლოს „დელიკატესად“ იქცა. სა-  
ქართველოში სამდინარო თევზჭერა  
სარენტო ხასიათისა არ ყოფილა,  
ამიტომ თევზი ქართველთა კვების  
სისტემაში, როგორც ცხოველური  
წარმოშობის ერთ-ერთი უმნიშვ-  
ნელობანესი კომპონენტი, იყო და  
არის მოპოვებითი მეურნეობის  
პროდუქტი.

ისტორიულად ჩამოყალიბებულ  
კვების ხალხურ, ტრადიციულ სის-  
ტემაში ვლინდება საციფრცხლო  
უზრუნველყოფის კულტურის მემ-  
კვიდრეობითი ფასეულობანი, ეთ-  
ნოსის დამახასიათებელი თვისებები  
და ეროვნული თვითშეგნება. ჩვენს  
დროშიც კი, როცა მატერიალურ-  
კულტურულ, საყოფაცხოვრებო და  
სხვა სფეროებში მიმდინარეობს ეთ-  
ნიკური სპეციფიკის ინტენსიური გა-  
მოთანაბრების პროცესი, იგი კვლა-



ვაც ყოფითი კულტურის ფენომენად ჩრდება.

თანამედროვე ლიტერატურაში, ადამიანის მიერ გამოყენებული საკვები პროდუქტები ათ ჯგუფად არის დანაწევრებული. კვების ისტორიული გამოცდილებისა და ხასიათის გათვალისწინებით, ქართულ სინამდვილეში საკვები პროდუქტების ოდენობა ჯგუფების მიხედვით წლის განმავლობაში, ასე გამოიყენება; 1. ბური, ფქვილი, ბურღულეული, მარცვლოვანები და მარცვლოვან-პარკოსნები, ფუნთუშეული, მაკარონისა და საკონდიტრო ნაწარმი და აშ. (როდესაც ამ ჯგუფების პროდუქტთა მიღების ნორმებს აფასებენ, სპეციალური კონფიდენტების მეშვეობით ყველა პროდუქტი გადაიანგარიშება ფქვილზე) – 127,5 კგ. 2. კარტოფილი – 62 კგ. 3. ბოსტნეული და ბახჩეული (აქ შედის აგრეთვე, მათი კონსერვები, მარინადები და აშ. მათი მოხმარების ერთიანი მოცულობის დადგენისას, იგი გადაჰყავთ ნედლ ბოსტნეულზე) – 146 კგ. 4. ხილი, ხილის წვენები, კონსერვები, მშრალი ხილი და ა.შ. (ამ პროდუქტების ერთიან ნიშნულზე დაყვანა ნედლ ხილზე ნარმობებს) – 110 კგ. 5. შაქარი – 36 კგ. 6. მცენარეული ზეთები (მართალია, ადამიანის რაციონში ცხიმების 70% მოდის ცხოველური ნარმობობის ცხიმებზე და მხოლოდ 30% მცენარეულზე, მაგრამ ეს უკანასკნელი დამოუკიდებლად შედის კვების პროდუქტების ჩამონათვალში) – 7,3 კგ. 7. თევზი და თევზის პროდუქტები (ამ ჯგუფში შემავალი თევზის გადამუშავების პროდუქციის გადაყვანა და ხდება ნედლ თევზზე, რაციონში მათი შეფასების დროს) – 18,3 კგ. 8. ხორცი და ხორცის პროდუქტები (ამ ჯგუფში შედის საღი ხორცი, ძევეული, შაში, ქონი, სხვადასხვა კონსერვი და აშ. შეფასებისას ყველა აღნიშნული პროდუქტი გადაიყვანება ხორცზე) – 73 კგ. 9. რძე და რძის პროდუქტები (ამ ჯგუფში შედის სა-

ლი რძე, ყველი, კარაქი, ხაჭო, არაფანი, მანონი და აშ. შეფასების საფუველია საღი სტანდარტული შემადგენლობის რძე) – 360 კგ. 10. კვერცხი (იანგარიშება ცალობით) – 292.

დღეს, საქართველოს მოსახლეობის თითქმის 70% უსახსრობის გამო სრულფასოვნად ვერ იკვებება. კვლევებმა აჩვენა, რომ მოხაცემები საგანგაშოა. სასურსათო უსაფრთხოების დღეს მოქმედი ნორმები რეალობას აცდებილია.

განსაკუთრებით სავალალოა ის ფაქტი, რომ მოზარდი თაობა ხორცს, რძესა და რძის პროდუქტებს პრაქტიკულად ვერ იღებს, რაც მათ გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს. მოზარდები იშვიათად იღებენ საკვებად ბოსტნეულს, ბალჩეულს, ხილს, ზეთს, ვიდრე სრულნლოვნები. მოსახლეობის უმცესობა ძირითადად იკვებება შემდეგი კერძებით: შემწვარი კარტოფილი, ლობიო, აჯაბსანდალი, იშვიათად ხორციანი კერძით. ყოველ მესამე ოჯახს არა აქვს საკმარისი თანხა სურსათის შესაძენად.

\* \* \*

დღე-დამეში თანამედროვე ადამიანი საკვებად იყენებს დაახლოებით 1,5 – 2 ლიტრ წყალს და 800 – 900 გრამადე საკვებს. ჩვენი პლანეტის მოსახლეობის (7 მლრდ) სადღედამისო რაციონი დღეისათვის 6,3 მილიონ ტონა საკვებს შეადგენს. კაცობრიობის დიდი ნაწილი განიცდიდა და განიცდის ზოგიერთი სახეობის საკვები პროდუქტის დეფიციტს (დღეს მსოფლიოში 1 მლრდ ადამიანი შეიშილობს, ხოლო 2,2 მლრდ სასმელი წყლის დეფიციტს განიცდის).

სრულფასოვანია სურსათი, თუ იგი საკმარისი რაოდენობით შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობისთვის აუცილებელ ცილებს, ცხიმებს, ნახშირნებებს, ვიტამინებს, მინერალებს, მიკროელემენტებს. ხელისუფლება ვალდებულია მოსახლეობას

შეუქმნას ისეთი სოციალური პირობები, რომ მან შეძლოს ჯანმრთელობისთვის აუცილებელი რაოდენობის დაბალანსებული საკვების შეძენა-მოხმარება. კერძოდ, ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისად, საკვებ რაციონში პური უნდა შეადგენდეს დღეში – 350 გრამს, ხორცი – 200 გრამს, რძე და რძის ნაწარმი – 960 გრამს, კარტოფილი – 170 გრამს, ბოსტნეული – 370 გრამს, ხილი – 210 გრამს, თევზი – 50 გრამს, ცხიმი – 30 გრამს, შაქარი – 100 გრამს.

ეს ნორმები ემყარება საერთაშორისო ნორმებს და გათვალისწინებულია საშუალო ასაკის 70 კგ, მსუბუქი შრომით დაკავებული 31-50 წლის მამაკაცისთვის (იგივეა 60 კგ წლის ქალისთვის) და შეადგენს 2800 კალდღეში (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდებული ნორმა შეადგენს 2450 კალ). ეს მონაცემები მართალია პერიოდულად იცვლება ასაკის, წლის, გეოგრაფიული გარემოს და სხვა ფაქტორების გავლენით, მაგრამ არა არსებითად.

ბოლო 25 წლის მანძილზე საქართველოში უხეშად ირღვევა სასურსათო უსაფრთხოების პრინციპები, სურსათის მოხმარების ნორმები და აქედან გამომდინარე, უარესდება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაც.

განსაკუთრებით დაბალია სასიცოცხლოდ აუცილებელი ცილოვანი საკვების მოხმარება (ხორცის მოხმარება შემცირებულია – 2,5-3-ჯერ, თევზის – 4-5-ჯერ, რძის პროდუქტების 2-3-ჯერ), ხოლო პურისა და პურპროდუქტების მოხმარება 1,8-2,0-ჯერ მეტია ფიზიოლოგიურ ნორმასთან შედარებით, რის გამოცავები რაციონის ენერგეტიკული ლირებულების თითქმის 61% პურპროდუქტებზე მოდის (განვითარებულ ქვეყნებში პურის წილი საკვებ რაციონში 12-15%-ს არ აღემატება).

2003 წელს NATO-ს სოფლის მეურნეობის დაგეგმვის კომიტეტმა (FAPC), საქართველოს მოსახლეობის სურსათის მოხმარების მაჩვენებლები საგანგაშოდ ჩათვალი და საგანგებოდ აღნიშნავს მდგომარეობის გამოსწორების აუცილებლობის შესახებ. ხელისუფლებამაც არ დააყოვნა და 2003 წლის 8 მაისს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით № 111-ნ დაამტკიცა ახალი „ნორმა“ (სადაც სურსათის კალორიულობა შეფასებულია 2300 კალ). ამ ბრძანების თანახმად, ხორცის მოხმარების მაჩვენებელი ბერძნებული 80 გრ/დღ ჩათვალი „ნორმად“, რომელიც 2,5-ჯერ

ჩამორჩება საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმას (200 გრ/დღ), რძისა და რძის პროდუქტების ნორმა შემცირდა 4,5-ჯერ (!) 960 გრამიდან 215 გრამამდე, ბოსტნეულის განახევრდა 370 გრამიდან 182 გრამამდე, შაქარი შემცირდა 100 გრამიდან 55 გრამამდე. პურის მოხმარების ნორმა 350 გრამიდან გაზრდილია 400 გრამამდე.

ამრიგად, ფიზიოლოგიურ ნორმად ჩაითვალა მინიმალური საკვების ის რაოდენობა, რის მიღებასაც მოსახლეობა ახერხებდა და მოხმარების მაჩვენებელიც ახალ „ნორმებს“ დაუახლოვდა, ზოგიერთი პროდუქტის ფიზის გადაჭარბა კიდეც (რძე და რძის ნაწარმი). ასე მარტივად „მოგვარდა“ სასურსათო უსაფრთხოების დარღვევის საგანგაში მდგომარეობა, ბიუჯეტიდან ხარჯების განევის და სათანადო ღონისძიებების გატარების გარეშე და ამ ე.წ. „ნორმების“ მიხედვით ჩვენი მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარების ფიზუალური სურათი „არც თუ ისე სავალალოდ“ გამოჩნდა. სასურსათო კალათაში მნიშვნელოვნად შემცირდა ქვირადლირებული პროდუქტის ჩამონათვალი და გაიზარდა შედარებით იაფი პროდუქტის რიცხვი.

სამწუხაროდ, ამ „ნორმების“ გადახედვით და გამოსწორებით დღემდე არც ერთი მთავრობა არ დაინტერესებულა და სასურსათო კალათას და საარსებო მინიმუმს ამ ნორმებით ანგარიშობს (ზოგადად სასურველი იქნებოდა სურსათის მოხმარების ნორმები იანგარიშებოდეს და იცვლებოდეს ზაფხულ-შემოდგომის და ზამთარ-გაზაფხულის პერიოდებისა და მთისა და ბარის რეგიონების მიხედვით).

ეს „ახალი სასურსათო კალათა“ 2016 წლის ივნისის მდგომარეობით 109.9 ლარის ღირებულების საარსებო მინიმუმს იძლევა, რაც მაინც მიუწვდომელია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის.

პრობლემის სპეციალური შესწავლით (რომელიც საყოველთაოდ ალიარებულ მეთოდიკას ეყრდნობა) დადგინდა, რომ საქართველოში საარსებოდ მიღებული მინიმალური ნორმის შესაბამისი სასურსათო კალათის რეალური ღირებულება 176,25 ლარია, რომელიც 38 პროცენტით აღემატება ოფიციალურად მიღებულ – 109.9 ლარს.

საარსებო მინიმუმის გაანგარიშება საქსტატის მიერ ხორციელდება ე.წ. ნორმატიულ-სტატისტიკური მეთოდის საფუძველზე – მიჩნეულია, რომ სურსათის წილი ამ მაჩვენებელში უნდა შეადგენდეს 70

პროცენტს (რაც არასწორია, რადგან ადამიანს, როგორც გონიერ არსებას სხვა მოთხოვნილებებიც გააჩნია).

განვითარებული მსოფლიოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებულია, რომ ეს მაჩვენებელი საარსებო მინიმუმში 15-30% ფარგლებში უნდა მერყეობდეს), დანარჩენი 30 პროცენტით კი უნდა დაიფაროს ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის არასასურსათო საქონლისა და მომსახურების ღირებულება. ეს ნიშნავს იმას, რომ რეალური საარსებო მინიმუმის ღირებულება – 251,75 (176,25+75,5) ლარი, 1.6 ჯერ მეტი იქნება დაგენილ – 157.1 (109.9+47.2) ლარზე თვეში. სასურსათო და სამომხმარებლო ხარჯების გათანაბრების (0.5/0.5) შემთხვევაში (რაც სწორი და სავსებით მისაღები გადაწყვეტილება იქნება), საარსებო მინიმუმის ღირებულება 352.5 (176.25+176.25) ლარს გაუტოლდება.

(ცნობისათვის, ეს მაჩვენებელი აზერბაიჯანში – 348 ლარია, სომხეთში – 230 ლარი, რუსეთში – 390 ლარი, ესტონეთში – 520 ევრო, სლოვენიაში – 830 ევრო, აშშ-ში – 902,5 დოლარი, ნორვეგიაში – 2100 ევრო).

2006 წლის შემდეგ საარსებო მინიმუმის ამჟამად მოქმედ მეთოდოლოგიაზე გადასცვლისას მყისიერად, 30 პროცენტით შემცირდა მისი ღირებულება (დაბალანსებული კვების რაციონის ნაცვლად ნორმატიულ ბაზაში შეტანილ იქნა შედარებით ნაკლებად ღირებული საკვები პროდუქტები, ანუ მაქსიმალურად შეიზღუდა ცხოველური ნარმომავლობის საკვები პროდუქტების წილი). აღსანიშნავია, რომ საარსებო მინიმუმის აბლანდელ კალათაში სურსათის კალორიულობა შეფასებულია 2300 კკალ-ის დონეზე, რაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდებულ ნორმაზე (2450 კკალ) საგრძნობლად

ნაკლებია. ჩვენს მირ შესრულებული გაანგარიშება ამ უკანასკვნელ რაციონალურ ნორმას ემყარება.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს საარსებო მინიმუმში სურსათისა და დანარჩენი სამომხმარებლო საქონლის თანაფარდობა პროპორციით 0.7/0.3. ეს პროპორცია სასწრაფოდაა შესაცვლელი – მკვეთრად უნდა შემცირდეს სასურსათო კომპონენტის წილი და გაიზარდოს არასასურსათო კომპონენტის წილი (ეს იმ დროს, როდესაც ინფლაციის გასაანგარიშებელ კალათაში სურსათის წილი წლიდან წლამდე მცირდება და ამჟამად 30 პროცენტს არ აღემატება). ამ შემთხვევაში, თვით ამჟამად მოქმედი მინიმალური სასურსათო ნორმისა და სადლედამისო კალორიულობის შენარჩუნების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გაიზარდება საარსებო მინიმუმის ღირებულება (109.9 +109.9) 219,8 ლარი.

ამ ცვლილებით საარსებო მინიმუმის ღირებულება საგრძნობლად მიუახლოვდება მის ფაქტობრივ დონეს, როთაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება აგრეთვე ამჟამად კატასტროფულად დაშორებული „საარსებო მინიმუმისა“ და „სიღარიბის“ ცნებათა შინაარსობრივი დაახლოებისაკენ.

აღნიშნული მძიმე მდგომარეობის შესაცვლელად დამთავრობამ უნდა შეიმუშაოს სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების ეროვნული პოლიტიკა (სტრატეგია), რომლის რეალიზაცია ყველა პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურის გააზრებულ მუშაობაზე იქნება დამოკიდებული.

**პაპთ მუდაზაფლი, ს/ზ მეცნიერების აკადემიის აკადემიკოსი;**  
**ზოგა ჩხეიძე,**  
**ტექნ. მეცნ. დოქტორი, სტუ. პროფესორი**





დიდად სამწუხაროა, რომ დღეი-სათვის სამეგრელოში თითზე ჩა-მოსათვლელ მეთუნე ოსტატებს და თუ შევხდებით. მექვევრებით ძველი დროიდანვე ყოფილა განთქ-მული აქაური სოფლები: ნამკოლაო, ფახულანი, ჯვარი, ჭალე, ოდიში... ამჟამად კი ქვევრს მხოლოდ ერთი მეთუნელა ამზადებს სამეგრელოში. ეს გახდავთ ზუგდიდის რაიონის სო-ფელ ოდიშის (ე.წ. „კალინინის უბა-ნი“) სკოლასთან ახლოს მცხოვრები მეთუნე ოსტატი ლავრენტი (დოდი) თოლორაია. იგი ძირითადად ჭის

## მეგრელი მექვევრა რდიულან

საქართველოს შინა მრავალობის უძველესი და უძინესებელოვანი დარგი – მექვევრებია სამეგრელოში ქველი დროიდან მოყიდვა გადასა-დონეზე განვითარებული. ამ მხარეში არა მხოლოდ ძველი, არამა-დ ძარ-თული მეტაურობისათვის დამახასიათებელი სახე ნაკათობებიც მზადდა, როგორიცაა: აგური, პრატიტი, სხვადასხვა დაიზნულების ჭურ-ჭლეული, თონი და შის გვიმიტი.

გვიმების კეთებითაა დაკავებული, თუმცა, ის ამზადებს თონესაც და ჭურჭელსაც, ხოლო ყველაზე იშვი-ათად ქვევრსაც. მეტუნე ოსტატის თქმით ძველად ოდიშში ბევრი ქვევ-რი მზადდებოდა, მაგრამ მიზეზთა გამო ეს პროცესი შეწყდა. აღსანიშ-ნავია, რომ ლავრენტი თოლორაიას მეზობლად 4 მეთუნე ცხოვრობს, რომლებიც ამზადებენ მხოლოდ ჭის გვიმებს. თავად მეთუნე ლავრენტი (დოდი) თოლორაია მხოლოდ მცირე მოცულობის ზომის ქვევრებს ამზა-დებს. შეკვეთის შემთხვევაში მას შე-უძლია დაამზადოს 100-150 ლიტრის მოცულობის ქვევრი. მისივე თქმით, იგი სეზონის განმავლობაში 20-25 ცალი ქვევრის დამზადებას შეძლებს. მეთუნე თავისი ნახელავის დასამ-

ზადებელ თიხას სოფელ ონარიადან ეზიდება, რომელსაც დამუშავების დროს მცირე რაოდენობით ურევს მდინარე ენგურის ქვიშას. დიდ იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენი უურნალის, „ახალი აგრარული საქართველოს“ საშუალებით გამოქვეყნებული ეს მცირედი სტატია გარკვეულწილად ხელს შეუწყობს აღნიშნული მექ-ვევრე ისტატის საქმიანობას. ასევე ვიმედოვნებთ, რომ სამეგრელოში შემორჩენილ ამ მექვევრე ისტატი ადგილობრივი ხელისუფლება ჯე-როვან ყურადღებას დაუთმობს. წარმატებას ვუსურვებთ ზუგდიდელ მექვევრე დოდი თოლორაიას.

**მოურვი პარისავალი,**  
მცხეთა, 2016 წ.

## სიმინდის მარცვლიდან ლეგულობან უზვილს, უანოელს,

კონსერვებს (შეარიანი სიმინდისაგან), სახამებელს, საირქს, ხელოვნურ თაფლს, პატარას, რძის მზავას, აცემონს, გლიცერინს, სხვადასხვა სამ-ლაგროებს და ა. შ. იგი უძვირფასი საკვები მრავალი სახეს ცხოველი-სათვის. 1 კგ მშრალ მარცვალში შეის 1,34 საკვები ერთეული, მაგრამ სიმინდის მარცვლის პროცესი დარიგია შიუცვლელი ახილობაზე და-ლიზინით, ტრიუფოვანით და ედილარია საკვები თვალსაზრისით და-გალერისებრვანი ცილით - ზეინით.

სიმინდის მწვანე ფოთლები და ღე-როები გამოიყენება ნედლ საკვებად. დაქუცმაცებული სიმინდის მშრალი ფოთლებით და ღეროებით შეიძლება გამოიკვებოს ცხოველები, განსაკუთ-რებით წვინიან საკვებათან ნარევში.

ის კარგი წინამორბედია სხვა კულ-ტურებისათვის, მათ შორის საშემოდ-გომო მარცვლეულისათვის. ფართოდ იყენებენ სიმინდის ერთად თესვას პარკოსან კომპონენტებთან სასი-ლოსე, საგანათიბო, სანაწვერალო და განმეორებითი ნათესებისათვის.

საქართველოში სიმინდი ითესება თითქმის ყველა რაიონში, მაღალმ-თიანი ნაწილის გარდა. ძირითადად გავრცელებულია გორის, სილნალის, ვანის, საჩხერის, ხარაგაულის, აბა-შის, სენაკის, მარტვილის, ზუგდიდის, ხობის, ჩხოროწყუს, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, გალის, გუდაუთის, ოჩამჩირის რაიონებში.

განვითარების დასაწყისში (აღმო-ცენებიდან აღერებამდე) სიმინდი მცირე წყალს მოითხოვს და კარგად იტანს გვალვას. შემდგომში ტენზე



მოთხოვნილება დიდდება. მაქსიმა-ლურ მოთხოვნილებას აღნევს ქო-ჩორის ამოღებამდე 10 დღით ადრე 20 დღე-ლამის შემდეგ. ამ პერიოდში

| ვარიანტი   | პრეპარატები     | ჯიში                   | მარცვლის რ-ბა<br>ტაროზე (გ) | ერთი ტაროს<br>მარცვლის წონა, გ | 1000 მარცვლის<br>წონა, გ | მოსავლიანობა,<br>ტ/ჰა |
|------------|-----------------|------------------------|-----------------------------|--------------------------------|--------------------------|-----------------------|
| ბიო        | შპს „ბიოაგრო“   | აფამეთის თეთრი         | 850                         | 290                            | 487                      | 11,5                  |
|            |                 | ქართული კრუგი          | 500                         |                                | 485                      | 7,5                   |
|            |                 | ნითელი მსხვილმარცვალა  | 746                         |                                | 590                      | 12,6                  |
|            |                 | D-2                    | 710                         |                                | 482                      | 8,3                   |
|            |                 | ყვითელი მსხვილმარცვალა | 195                         |                                | 208                      | 10,1                  |
| რადისტიმი  | რადისტიმი       | აფამეთის თეთრი         | 590                         |                                | 410                      | 1,0                   |
|            |                 | ქართული კრუგი          | 425                         |                                | 326                      | 1,0                   |
|            |                 | ნითელი მსხვილმარცვალა  | 460                         |                                | 345                      | 1,4                   |
|            |                 | D-2                    | 450                         |                                | 340                      | 0,5                   |
|            |                 | ყვითელი მსხვილმარცვალა | 152                         |                                | 145                      | 2,7                   |
|            | დეპოზიტელექსირი | აფამეთის თეთრი         | 600                         |                                | 437                      | 2,0                   |
|            |                 | ქართული კრუგი          | 450                         |                                | 345                      | 1,5                   |
|            |                 | ნითელი მსხვილმარცვალა  | 475                         |                                | 392                      | 1,6                   |
|            |                 | D-2                    | 460                         |                                | 341                      | 2,0                   |
|            |                 | ყვითელი მსხვილმარცვალა | 160                         |                                | 147                      | 2,7                   |
| საკონტროლო |                 | აფამეთის თეთრი         | 490                         |                                | 310                      | 7,1                   |
|            |                 | ქართული კრუგი          | 375                         |                                | 275                      | 5,3                   |
|            |                 | ნითელი მსხვილმარცვალა  | 410                         |                                | 295                      | 6,9                   |
|            |                 | D-2                    | 400                         |                                | 289                      | 6,2                   |
|            |                 | ყვითელი მსხვილმარცვალა | 128                         |                                | 120                      | 4,0                   |

წყლის ნაკლებობა მკვეთრად ამცირებს მოსავალს. სიმინდი საკმაოდ მაღალმომთხოვნია ნიადაგის ნაყოფიერებისადმი. სიმინდი ყველაზე კარგად მოძის სტრუქტურიან შავმინებზე და მუქანაბლა ნიადაგებზე, აგრეთვე მდინარისპირა ლამიან ნიადაგებზე. სიმინდის ლერო სწორი, დიდი (0,5-5,0მ) სიმაღლისაა.

სიმინდისთვის ყველაზე საუკეთესო  
წინამორბედს წარმოდგენს საშემოდ-  
გომო თავთავისინი კულტურები და  
სამარცვლე პარკოსნები. დასაშვე-  
ბია თვით სიმინდიც, ორი-სამი წლის  
განმავლობაში ზედიზედ. მისი თესვა  
რეკომენდებული არ არის და არ და-  
იშვება მზესუმზირის შემდეგ, განსა-  
კუთრებით ნაგერალის სიმრავლისა  
და ნიადაგის ძლიერად გამომრობის  
გამო. ხანგრძლივი პერიოდის განმავ-  
ლობაში სიმინდის უცვლელ კულტუ-  
რად მოყვანისას მკვეთრად იზრდება  
ამ კულტურის დაავადებანი, განსა-  
კუთრებით ბუშტარა გუდაფუტით.  
დეროებზე, ყვავილედზე, ფესვთა სის-  
ტემაზე და ფესვის ყელზე წარმოქმ-  
ნებიან დიდრონი ამბობურცულობანი  
20 სმ-მდე დიამეტრის სპორებით.

ଦ୍ୱାରା ନିରାକାର ହେଲା ଏବଂ ତାଙ୍କ ପାଇଁ ପରିମାଣ କରାଯାଇଛି । ଏହାର ଅଧିକାରୀ ପରିମାଣ କରିବାକୁ ଆଶିଷ ଦିଆଯାଇଛି । ଏହାର ଅଧିକାରୀ ପରିମାଣ କରିବାକୁ ଆଶିଷ ଦିଆଯାଇଛି ।

ცა ნიადაგი თესლის ჩატესვის სიღრმეზე გათბება 10-12<sup>0</sup>-მდე. უფრო დაბალ ტემპერატურაზე თესლი ობდება და კარგავს აღმოცენების უნარს. სიმინდის თესვის ნორმა ჰექტარზე 10-25 კვ-ის დარღვეულში შეარყობს.

აღმოსავლეთ საქართველოს დაბ-ლობ ზონაში კვადრატულ-ბუდობ-რივად თესვისას (70X70 სმ) საგვაინო და საშუალო საგვაინო ჯიშებისათვის შეირჩევა 40 ათასი მცენარე. თესლის ჩათვესვის სიღრმე საკმარისი ტენიანობისას უნდა იყოს 5-7 სმ, გამომშრალ ნიადაგებში 10-12 სმ-მდე. აღმოცენების შემდგომი დაფარცხვის შედეგად ნადგურდება სარეველების 80%-მდე და კულტურულ მცენარეთა 10%-მდე. 3-5 ფოთლის ფაზაში სიმინდი თითქმის არ ზიანდება.

მწკრივთშორისისებისა დამუშავება  
უნდა დაიწყოს სიმინდის მცენარის  
ორი-სამი ფოთლის ფაზაში 10-12 სმ  
სიღრმეზე. სარეველებისგან სუფთა  
მდგომარეობაში შესანარჩუნებლად  
უნდა ჩატარდეს არანაკლებ სამჯერა-  
დი დამუშავება. სიმინდის რძისებრ-  
ცვილისებრი სიმწიფის ფაზა გრძელ-  
ება 10 დღე-ლამაზეთი. ამ პერიოდში

ლისა და ების ოპტიმალური ვადა დგებ  
მაშინ, როცა ტაროების 65-70% სან-  
თლის სიმწიფეს აღწევს. აღება ხდება  
რძისებრ-ცვილისებრ ფაზაში მწვანე  
მასის 70-75% ცენიანობისას. სიმინდის  
ასეთი მრავალმხრივი გამოყენების გა-  
მო საჭიროა მისი ბიოაგრონარმობა.

ამ მიზნით წილკრის ექსპერიმენტულ ბაზაზე დაითესა სიმინდის შემდეგი ჯიშები: აჯამეთის თეთრი, ქართული კრუგი, წითელი მსხვილმარცვალა, ყვითელი მრგვალმარცვალა და D-20, 1521 ჰა-ზე საკონტროლო და ბიო ვარიანტებში. ბიოვარიანტში თესლის დამუშავება და გამოკვება მოხდა უკრაინული ბიოპრეპარატებით: რადოსტიმი, დეპოზიტულექსირი და შს „ბიოაგრო“-ს პრეპარატებით. დაკავებული ფართობი ყველა ჯიშისათვის თანაბარია.

ვეგეტაციის პერიოდში ჩატარდა  
სამჯერადი ფოთლოვანი კვება შპს  
„ბიოაგრო“-ს მიერ ნარმობული პრე-  
პარატით. პირველი შესხურება ჩა-  
ტარდა, როდესაც მცენარემ მიაღწია  
5-10 სმ, მეორე და მესამე - წინა შეს-  
ხურებითან 14-21 დღის ინტერვალით.

შევისწავლეთ ბიოსამეურნეო მაჩვენებლები (მცენარის სიმაღლე, ტაროზე მარცვლების რაოდენობა, მარცვლის მასა, 1000 მარცვლის მასა). სამეცნიერო კვლევის შედეგად პრო-დუქტიულობის მაღალი მაჩვენებელი მიღებული იქნა შპს „ბიოგრო“-ს პრეპარატის გამოყენებისას საკონტროლო ვარიანტთან და სხვა პრეპარატებთან შედარებით. ბიოპრეპა-



რატების მოქმედებით გამოწვეული შედეგები მოცემულია ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, „ბიო-აგრო“-ს პრეპარატებით დამუშავებისას სიმინდის ჯიშებიდან ტაროზე მარცვლის რაოდენობით, ერთ ტარო-

ზე მარცვლის წონით და 1000 მარცვლის მასით მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა აჯამეთის თეთრში – 150 მარცვლით მეტი ტაროზე, მარცვლის რაოდენობით ქართულ კრუგსა და ყვითელ მრგვალმარცვალთან შედარებით, 132-ით მეტი წითელ მსხვილმარცვალთან შედარებით, 1000 მარცვლის მასით კი აჯამეთის თეთრი 60 გ-ით მეტია ქართულ კრუგსა და D-2-თან

შედარებით, 2 გ-ით

მეტია წითელ მსხვილმარცვალზე, 221 გ-ით მეტია ყვითელ მრგვალმარცვალთან შედარებით.

წილების ექსპერიმენტულ ბაზაზე ერთი სავეგეტაციო წლის მონაცემების შედარებით, 2 გ-ით

მეტია წითელ მსხვილმარცვალზე, 221 გ-ით მეტია ყვითელ მრგვალმარცვალთან შედარებით, 1000 მარცვლის მასით კი აჯამეთის თეთრი 60 გ-ით მეტია ქართულ კრუგსა და D-2-თან

შედარებით, 2 გ-ით მეტია წითელ მსხვილმარცვალზე, 221 გ-ით მეტია ყვითელ მრგვალმარცვალთან შედარებით.

წილების ექსპერიმენტულ ბაზაზე ერთი სავეგეტაციო წლის მონაცემების შედეგს იძლევა შეს „ბიოაგრო“-ს პრეპარატების გამოყენებით – ლეპიდონი, ტურინგენი, აგროკატენა, ბიოკატენა, ფიტოკატენა, ორგანიკა და ნემატოფაგი.

**ზონაზე სტატისტიკა,**  
**მოზარდებულისათვის,**  
**მოზარდებულისათვის,**  
**რუსული პარამეტრების,**  
**ზურავილის გამოყენების დროის**

**სსიპ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი**



## ბალჩეული კულტურების მავნე რჩებაზე მეცნიერებები

ბალჩეული კულტურები (საზამთრო, ნასვი, გოგრა, კიტრი, ზაბაზი და სხვ.) გოგრისებრთა მავნე რჩებაზე მეცნიერებების მიზნებისთვის. ისინი დიდი რაოდენობით შეიცავენ შაქრებს, A, B, C ვიტამინებს. გოგრის თესლი შეიცავს 50%-მდე ზეთს.

ბალჩეული კულტურები ზიანდება სხვადასხვა მავნე ორგანიზმებით (დაავადებებით, მავნებლებით, სარეველებით). დაავადებებიდან ალინიშნება სოკოვანი, ბაქტერიული და ვირუსული დაავადებები. სოკოვანი დაავადებებიდან გავრცელებულია: ანთრაქნოზი (*Colletotrichum lagenarium* (Pass.) El. et Hals.), ფუზარიოზული ჭკნობა (*Fusarium oxysporum* Schlecht. Emend Snyd et Hans.), ჭრაქი (*Pseudoperonospora cubensis* Berk. Et Curt.), ნაცარი (*Podosphaera xanthii* Braun.), ასკოქიტოზი (*Ascochyta melonis* Pot.), ნაცრისფე-

რი იბი (*Botrytis cinerea* Pers.), ალტერნარიზი (*Alternaria cucumerina* Ell. et Ev.), რიზოქტონიზი (*Rhizoctonia solani* Kuhn.), ქეცი (*Cladosporium cucumerinum* Ellis.) და სხვ; ბაქტერიულიდან – კუთხოვანი ბაქტერიული ლაქიანობა (*Pseudomonas syringae* pv. *Lachrymans*), ბაქტერიული ჭენობა (*Erwinia tracheiphila* Smith.); ვირუსულიდან – კიტრის ჩვეულებრივი და მწვანე მოზაკის ვირუსი. ქვემოთ ნარმოვიდგენთ თითოეულ ძირითად მათგანს:

### ანთრაქნოზი –

***Colletotrichum lagenarium* (Pass.) El. Et Hals.**

ავადება გოგროვანთა (საზამთრო, ნესვი, კიტრი, გოგრა) ფოთლები, ნაყოფები სხვადასხვა სიძლიერით. დაავადება ფოთლებზე ჩნდება მოყ-



ვითალო ლაქების სახით, რომლებიც შემდეგში ადვილად ხმება და იშლება; ნაყოფი სიმწიფის პერიოდში ავადდება, ჯერ ქვედა, ხოლო შემდეგ ზედა მხრიდან იფარება სხვადასხვა ზომის ლაქებით, რომლებზეც მეჭეჭები ვითარდება. დაავადებული ნაყოფები ლეპება. სოკო ძლიერ ვითარდება 22-27°C ტემპერატურაზე. დაავადებას ხელს უწყობს ჰაერის მაღალი ტენი-ანობა.

### ფუზარიოზული ჭკნობა –

***Fusarium oxysporum* Schlecht.**

***Emend Snyd. Et Hans.***

დაავადება ვლინდება ფესვის ყელის ლპობით და მცენარის ჭკნობით. აღნიშნული სოკო ნიადაგის ბინადა-



რია. იგი ინტენსიურად ვითარდება 25-30°C-ზე, ნიადაგის ტენიანობა 50-80% იდეალურია სოკოს განვითარებისთვის. ფესვებიდან იჭრება მცენარეში, ვრცელდება გამტარ ჭურჭლებში, იწვევს მათ დაცობას, რის გამოც მცენარე ჭენება და ილუპება.

**କରୁଣା –  
Pseudoperonospora  
cubensis Berk. Et Curt.**



საშიში დაავადებაა; სოკო აავა-  
დებს გოგროვნებს როგორც ლია,  
ისე დაცურულ გრუნტში. ფოთლის  
ზედაპირზე ჩნდება მოყვითალო ფე-  
რის კუთხოვანი ლაქები, რომლებიც  
შემდეგ დიდდება და ერთიანდება.  
მაღალი ტენიანობის დროს ფოთ-  
ლის ქვედა მხარეზე წარმოიქმნება  
მონაცრისფრო ფიფქი, რაც სოკოს  
ნაყოფიერებას წარმოადგენს. ფოთ-  
ლები მუქდება და ხმება.

## **ნაცარი – Podosphaera xanthii Braun.**

აავადებს კუელა გოგროვანს. სიმ-  
პტომები ვლინდება მოძველებულ,  
ხნიერ ფოთლებზე, აგრეთვე ჩრდილ-  
ში მყოფ ფოთლებზე. ფოთლები




ორივე მხრიდან დაფარულია ფიფ-ქით, თითქოს ტალკისებრი ფხვნილია. ძლიერი დაავადებისას ფიფქით იყარება დერო, ნაყოფები. ფოთლები ყვითლდება, ყავისფერდება და ხმება. განსაკუთრებით ძლიერ ვითარდება დაავადება მსხმოიარობის დასაწყისიდან, აგრეთვე ხშირი ნარგაობის დროს.

ბაღჩეული კულტურების ძირი-  
თადი მავნებლებია: ბაღჩის ბუგრი  
(*Aphis gossypii* Glov.), აბლაბუფიანი  
ტკიპა (*Tetranychus urticae* Koch.),  
მავთულა და ცრუმავთულა ჭიები,  
ნესვის ბუზი (*Myiopardalis pardalina*  
*Biget.*), თამბაქოს თრიფსი (*Thrips ta-*  
*baci* Lind.) და სხვ.

## କୁଣ୍ଡରୀ ପୁଅଳି – *Aphis gossypii* Glov.

ბუგრები სახლდებიან ფოთლის  
ქვედა მხარეს, წუნინიან უჯრედის  
წვერს, რის შედეგად ფოთლები ხუ-  
ჭუჭდება, ყლორტები დეფორმირ-  
დება, ყვავილები და ნასკვები ცვივა.  
ზიანის მომტანაი იმაგო და მატლი.  
ბუგრები ითვლებიან მოზაიკის ვი-  
რუსის გადამტანებად. ბუგრების  
გავრცელებას ხელს უწყობენ სარე-  
ველები, ზამთრობენ მცენარის ნარ-  
ჩენებზე. ბაღრის ბუგრი მოყვითალო  
ან მომწვანოა, უფროსი ასაკის ბუგრი  
არის ფრთიანი და უფრთო. მატლი  
ლია მწვანეა, შემდეგ კი მოყვითალო-



მწვანე ფერს იღებს. წელიწადში 15-20 თაობას იძლევა.

## ବ୍ୟାକୁର୍ତ୍ତିକାରୀ ପିଣ୍ଡ – *Tetranychus urticae* Koch.

ძლიერ საშიში მავნებელია. იგი  
გაზაფხულზე კვერცხებს დებს ფოთ-  
ლის ქვედა მხარეზე და აპამს აბლა-  
ბუდას ქსელში; ტკიპა და მისი მატ-  
ლები წუნიან ფოთლებს, ფოთლის  
და ნაყოფის ყუნწებს, აჩენებ მათზე  
ნინნკლებს. ფოთლები უფერულდება  
და ცვივა. ძალიან საშიშა დახურულ  
გრუნტში. განსაკუთრებით მაღალია  
მავნეობა ცხელ ამინდში. სეზონზე  
იძლევა 10 თაობას, ხოლო დახურულ  
გრუნტში – 15 თაობას. ტკიპა პა-

ტარა ზომისაა, მოყვითალო-მწვანე ფერის, გადაზამთრებული მდედრი ტკიპები მონითალო-სტაფილოსფერია; კვერცხები მომწვანო-მოყვითალო, მრგვალი, მცირე ზომის. ტკიბა იზამთრებს ნიადაგში, სარეველებზე, მცენარეულ ნარჩენებზე; მისი განვი-



თარებისთვის ოპტიმალური ტემპერატურა 25-30°C, ტენიანობა – 35-55%. მაღალი ტენიანობა (80%) ხელს უშლის მის განვითარებას.

## ნესვის გუზი – **Myiopardalis pardalina** Biget.



ძირითადად აზიანებს ნაყოფებს, მათზე ჩრდება წვრილი, ამობურცული ლაქები, დაზიანებული ნაყოფები ლპება. იზამთრებს ნიადაგში ჭუპრის სახით; გაზაფხულზე ბუზების გამოფრენა იწყება ნესვის ყვავილობის დროს; ბუზი ჩეხლეტს ფოთოლს ან ნაყოფს და წვეხით იკვებება. კვერცხვის დასადებად იგი არჩევს კაპლისოდენა ნაყოფს. მატლები ზრდის დასრულების შემდეგ ჩადიან ნიადაგში დასაჭურვებლად. წელიწადში იძლევა 3 თაობას.

## တာဆန်ရုကြေး တူလိုဒ် – Thrips tabaci Lind.

ლია და დახურული გრუნტის ძლიერ საშიში მავნებელია. ყვითელი, ყავის-



ფერი, ვიწრო ფორმის მწერია; იმაგო ნუწნით აზიანებს ფოთლებს, რომ-ლებზეც ჩნდება გამჭვირვალე ლაქები; იზამთრებს ნიადაგში ან მცენარეულ ნარჩენებზე ზრდასრულ ფორმაში. ოპტიმალური ტემპერატურა თრიფ-სის განვითარებისათვის 25-30°C-ია. ნელნადში იძლევა 3-5 თაობას, დახუ-რულ გრუნტში – 6-8 თაობას.

ბალჩეულ კულტურებში გავრცე-ლებულია სხვადასხვა სარეველები: მინდვრის ლიჭა (*Sonchus arvensis* L.), ლორის ქადა (*Lactuca serriola* L.), ჯიჯლაყა (*Amaranthus retroflexus* L.), ნაცარქათამა (*Cheopodium album* L.), შავი ძალურებენა (*Solanum nigrum* L.), დანდური (*Portulaca oleracea* L.), ბურჩხა (*Echinochloa crus-galli* (L.) R. et Sch.), მწვანე ძურნა (*Setaria viridis* (L.) P.B.) და სხვა.

### მინდვრის ღიაბა – *Sonchus arvensis* L.



მრავალწლიანი ფესენაყარი სარევე-ლა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან, სიმაღლით 150-170 სმ; ფესვი – მთავარღერძა, ნიადაგში ვრცელდება 4 მ-ზე, ჰორიზონტალურად – 1 მ-ზე; ღერო – ეკლიანი; ფოთლები – დაქი-ლული; ივითარებს ყვითელ, ბაბუაწვე-რას მსგავს ყვავილებს. ერთ მცენარე-ზე ვითარდება 6000-20000 ცალი. თეს-ლის სიცოცხლისუნარიანობა 5 წელია.

### ღორის ქადა – *Lactuca serriola* L.

ორნლიანი ბალახოვანი მცენარეა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან.



ფესურა ვრცელდება ჰორიზონტა-ლურად და ვერტიკალურად; ღერო სწორმდგომი, ეკლიანი, უხეში, სი-მაღლე 60-150 სმ, შეიცავს რძისებურ სითხეს; ფოთოლი მჯდომარე მო-ნაცრისფრო – მწვანე, დაკბილული; ყვავილედი – კალათასებრი, ყვავილი – წვრილი ყვითელი. ყვავილობს ივ-ნის – სექტემბერში.

### ჯიჯლაყა – *Amaranthus retroflexus* L.



ერთწლიანი საგაზაფხულო სა-რეველა. ფესვი – მთავარღერძა; ღერო – სწორი, მარტივი ან დატოტ-ვილი, ღია მწვანედან მოწითალომ-დე, სიმაღლე – 20-150 სმ; ფოთლები – კვერცხისებურ-რომბისებური; ყვავილედი – ცილინდრული, მწვანე ფერის, ყვავილობს ივნის-სექტემ-ბერში. ერთი მცენარე იძლევა 40 000 თესლს. გა-მოიყენება სასილოსედ, უვარგისია თივისათვის.

### მწვანე ძურნა – *Setaria viridis* (L.) P.B.




ერთწლიანი, მარცვლოვანი სარე-ველა, სიმაღლით 15-100 სმ, ფოთ-ლები – ლანცეტისებური, სიგანით 2,5 სმ, ყვავილედი ერთყვავილიანი საგველაა, ნიადაგიდან 80% აზოტი გამოაქვს, საშიშროებას უქმნის სა-ქონელს (ინვესტ მონამელას). ერთი მცენარე იძლევა 40 000 თესლს. გა-მოიყენება სასილოსედ, უვარგისია თივისათვის.

### მწვანე ძურნა – *Setaria viridis* (L.) P.B.



### ნაცარქათამა – *Cheopodium album* L.



ერთწლიანი, ბალახოვანი, საგა-ზაფხულო სარეველა. ფესვი – მთა-ვარღერძა; ღერო – სწორი, მომწვანო – მონაცრისფრო, სიმაღლე 20-100 სმ; ფოთლები – მორიგეობითი, კვერ-ცხისებურ-რომბისებური, დაკბილუ-ლი; ყვავილედი – თავთავისმაგვარი, ყვავილობს ივლის-აგვისტოში. ერთ მცენარეზე ვითარდება 100000 თეს-ლი; აღმოცენების უნარს ინარჩუნებს 8 წელინადს.

**გაია გირგველიძი,**  
სოფლის მეურნეობის სამინისტროს  
ლაბორატორიის  
ენტომოლოგიის ლაბორატორიის  
მთავარი სპეციალისტი;

**ნინო დათუაძვალიძი,**  
სოფლის მეურნეობის სამინისტროს  
ლაბორატორიის  
ფიზობათოლოგიის ლაბორატორიის  
მთავარი სპეციალისტი



## მესამებრძოს ასაღორძინებელი

საქართველოს სოფლის მუშაობას გახსანა და დამსწრე საზოგადოებას შესავალი სიტყვით მიმართა საქართველოს სოფლის მუსიკობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გურამ ალექსიძემ.

მრგვალი მაგიდის მუშაობა გახსანა და დამსწრე საზოგადოებას შესავალი სიტყვით მიმართა საქართველოს სოფლის მუსიკობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გურამ ალექსიძემ.

საქართველოში მეაბრეშუმეობის აღდგენა – რეაბილიტაციის პრობლემებისა და დარგის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ ისაუბრა აკადემიის წ/კორესპონდენტმა გ. ნიკოლეიშვილმა;

გაიმართა დისკუსია: BACSA-ს როლი საქართველოში მეაბრეშუმეობის აღდგენის, რეაბილიტაციის და განვითარების საქმეში – აკად. ე. შავაჯიძე, BACSA-კოორდინატორი საქართველოში; აბრეშუმის ჭიის გენოფონდი და თუთის აბრეშუმშვევიას სასელექციო საქმიანობის განვითარების პერსპექტივები – დოქტ. ნ. ბარამიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;



მონვეულმა სტუმრებმა ისაუბრეს მეაბრეშუმეობის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ ხონის, მარტვილის, ხარაგაულის, ახმეტისა და სხვა რაიონებში, ზოგადად ქვეყანაში.

მრგვალი მაგიდის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ „საქართველოს სამსარეო განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის ფონდის“ წარმომადგენლები იოანე და კრისტინა ბაგრატიონები, ფონდის გენერალური დირექტორი გიორგი ულენტი. მათ აღნიშნეს, რომ საქართველოში მეაბრეშუმეობის აღდგენასა და რეაბილიტაციაზე მათ მიერ ჩატარებულ საქმიანობაზე ლოცვა-კურთხევა მიღებული აქვთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია II-საგან, რომელიც უდიდეს ინტერესს იჩენს საქართველოში მეაბრეშუმეობის აღდგენა-რეაბილიტაციისა და განვითარების მიმართულებით და ყოველდღიურად საქმის კურსში ფონდის საქმიანობაზე.

საინტერესო მოსაზრებები გამოიტევა „ქართული აბრეშუმის კორპორაციის“ დამფუძნებელმა ჯიმი ჩხაიძემ, რომელმაც გამოარჩია კორპორაციის მიერ ჩატარებული საქველმოქმედო საქმიანობა – საქართველოში

100000 თუთის ჰიბრიდული ნერგის შემოტანა და მათი ფერმერებისათვის საჩუქრად გადაცემა, რაიონებში მეაბრეშუმეობის კოოპერატივების ჩამოყალიბება (ხარაგაული, ახმეტა) და მათი ტექნიკური აღჭურვა, სხვა საქველმოქმედი ღონისძიებები.

მრგვალ მაგიდაზე ბევრი საინტერესო წინადადებები გამოითქვა, რომ საქართველოს სოფლის მუსიკობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრში უნდა გაიზარდოს მეაბრეშუმეობის სპეციალისტების რაოდენობა, რომლებიც სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად სისტემატიურ მონიტორინგს გაუწევენ რაიონებში მეაბრეშუმეობის აღდგენა-განვითარების პროცესს; შეიქმნას მეაბრეშუმეობის აღდგენა – რეაბილიტაციისა და განვითარების სტრატეგია; ეთხოვოს ეკონომიკის სამინისტროს ხონის რაიონში თუთის განაშენიანებული ნაკვეთებისათვის ყადაღის მოხსინა და მისი მუნიციპალიტეტის გამვებლობაში გადაცემის შესახებ; საქართველოს სოფლის მუსიკობის მეცნიერებათა აკადემიამ დროულად დაამთავროს ვანის რაიონში მეაბრეშუმეობის განვითარების საინცესტიციო პროექტის დამუშავება; ეთხოვოს „საქართველოს სამსარეო განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის ფონდს“ და „ქართული აბრეშუმის კორპორაციას“ დაინტერესდნენ ბუნებრივი თბილი წყლით გამთბარ გრუნგში დაავადება გამძლე ჯიშების კალმების დაფესვიანებით, სანერგების მოწყობით და ქმედითი დახმარება გაუწიონ ამ მიმართულებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას ტექნიკური პროექტის დამუშავებაში.



## ნივრის კულტურა საქართველოში და მოვლა-მოყვანის პროგლოგი

**კულტურის წარმოშობა.** ნივრის სამშობლოდ ცენტრალური აზია, ავღანეთი და ჩრდილოეთ ინდოეთი ითვლება. ნიორი გარეული სახით ნაპოვნია პამირ-ალტაიში ფედინენის მიერ. კულტურად გვხვდება აგრეთვე შუა აზიის მთებში, სამხრეთ ყაზახეთში, კავკასიაში. ნიორი უძველესი კულტურაა, მას ადამიანი მოიხმარდა ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე. საქართველოშიც ნივრის კულტურას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვა. გარეული ნიორი ჩვენში არის გავრცელებული „გველის ნიორას“ სახელწოდებით, რაც იმის მანიშნებელია, რომ საქართველოც მოიაზრება მის სამშობლოდ.

საქართველოში ნივრის გავრცელების არეალი ფართოა, ვრცელდება ზღვის დონიდან 2000 მეტრ სიმაღლეზე და მეტზე, თითქმის ყველა რეგიონში შეიძლება ნივრის მოყვანა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ერთწლოვანი კულტურების კვლევის დეპარტამენტმა ხახვნა-ირებზე და კონკრეტულად ნივრის კულტურაზე მუშაობა დაიწყო 2014 წლიდან ელენე მოთიაშვილის ხელმძღვანელობით.

**ნივრის კომერციული მნიშვნელობა.** ნიორი გამოიყენება როგორც ნედლად და მწვანილის სახით, ისე კულინარიაში, კვების მრეწველობაში სხვადასხვა მნიშვნელების დასამზადებელად და მეტზე, რომ საქართველოც მოიაზრება მის ადლენოდ.

ნიზმისთვის განსაკუთრებული სარგებლობა არ მოაქვს. მაგრამ, როგორც კი ნივრის დაჭრას, ჭყლეტას ან ღეჭვას იწყებთ, ალიინი ალიცინად – ბუნებრივ ანტიბიოტიკად გარდაიქმნება. ალიცინი ანთებას ძლევსა, დაავადების გამომწვევი ბაქტერიების გამრავლებას თრგუნავს. ნიორს გააჩნია ფიტონციდური და ანტისეპტიკური თვისებები. ეს გამომწვეულია მასში არსებული ფიტონციდებით, ეთერზეთებით. ამ ნივთიერებების გარდა ნიორი შეიცავს დარიშხანოვან ნაერთებს, რომლებსაც აქვთ სამკურნალო თვისებები. ამიტომ ხალხურ მედიცინაში მას უსხვარი დროიდან იყენებენ სხვადასხვა დაავადებების წინააღმდეგ. ნიორი აძლიერებს მადას და კუჭის წვენის გამოყოფას, აუმჯობესებს საჭმლის მონებებას, აძლიერებს იმუნიტეტს, იცავს კბილებს კარიესისა და ნადებისგან, აჯანსაღებს მინანქარს, ხელს უშლის ღრძილების ანთებასა და სისხლდენას, პაროდონტოზის განვითარებას. ნივრის წვენი აფართოებს გულისა და თავის ტვინის სისხლძარღვებს, აწესრიგებს გულის რიტმს, ხელს უშლის თრომბის წარმოქმნას, დაბლა სწევს არტერიულ წნევას, შველის თავის ტკივილს, ამცირებს სისხლში ქრონიკული შემცველობას. იყენებენ თმის ცვენის საწინააღმდეგოდ.

ნივრის ბოლქვი შეიცავს ადამიანისათვის აუცილებელ ნივთიერებებს – ნახშირნცლებს, ცილებს, გოგირდშემცველ ნივთიერებებს. მასში მნიშვნელოვანი რაოდენობით შედის ცვიტამინი (10გგ-100გ-ში), შეიცავს 35-42 % მშრალ ნივთიერებას, 6-7,9%

ნედლ ცილას, 0,5% რედუცილებულ შაქარს, 20-27% პოლისაქარიდებს.

მიუხედავად ასეთი დიდი კომერციული მნიშვნელობისა, ქვეყანაში ნივრის წარმოება გახდა მთლიანად იმპორტზე ორიენტირებული, რაც თავისთავად დაკავშირებულია მნიშვნელოვანი ოდენობის სავალუტო გადინებასთან, რომ არაფერი ითქვას შემოტანილი ნიორის ნაწარმის არც-თუ ისე მაღალ ხარისხზე.

### ბიოლოგიური დახასიათება.

#### ნიორი – *Allium Sativum L.*

ნიორი შროშანისებრთა ოჯახს მიეკუთვნება. მოყვავთ ერთწლოვანი კულტურის სახით კბილების ვეგეტაციური გამრავლების შედეგად. დასარგავად უმჯობესია მსხვილი კბილების გამოყენება, რადგან მათგან უფრო მსხვილი და სრული ბოლქვები მიიღება. მისი ფოთლები ვიწროა, გრძელი თასმის მაგვარი, სახაზავისებრი, ფერი მუქი მწვანე. ფოთლის ვაგინები მთლიანია, შეადგენს თხელ, გრძელ, მაგრამ უფრო მაგარ ცრულეროს, ვიდრე ეს ხახვს აქვს. ცრულეროს სიგრძით 15-50 სმ-ს აღწევს. ნივრის პროდუქციული ნაწილი მოთავსებულია მინანქარი რთული ბოლქვის სახით, იგი ფორმით მომრგვალო ან გაგრძელებულია, რომელიც შეიცავს კბილებს 2-50 ცალამდე. თითოეული ასეთი კბილი დაფარულია ერთი თხელი მშრალი აპკით (ნივრის ქერქლით). არსებობს ნივრის მოყვავილე ფორმაც. როგორც წესი, იყეობს ისარს, რომელზედაც ვითარდება ყვავილი, მიღებულ თესლს კი აბსოლუტურ უმრავლეს შემთხვევა

ვაში გაღივების უნარი არ აქვს. აქვე ვითარდება ალმოცუნების უნარის მქონე პატარა ზომის ვეგეტაციური საპარაზო ბოლქუნები. საპარაზო ბოლქუნებით გამრავლებისას ვეგეტაციის სრული ციკლი გრძელდება 3 წელი.

ნივრის მოსავალზე დიდ გავლენას ახდენს დარგვის დრო. შემოდგომით დარგული უფრო მაღალ მოსავალს იძლევა გაზაფხულზე დარგულთან შედარებით. თუ რაიმე მიზეზით შემოდგომაზე ნივრის დარგვა არ მოხერხდა, ამ შემთხვევაში ნიორი უნდა ინახებოდეს 4-0C-ზე და ოქტერვალში, ან ადრე გაზაფხულზე უნდა დაირგას.

ადრე გაზაფხულზე რგვა 30-40 წელია ველარ ხერხდება, რადგან გასული საუკუნის სამოციან ნლებში საქართველოში გავრცელდა მავნებელი ტიტას (ნივრის) ოთხფეხა ტკიპა, რომელიც დიდი ინტენსივობით მრავლდება შენახვის დროს და ინვეს ნივრის გაქრობას (გამოფიტვას) ისე, რომ იგი გაზაფხულამდე ვერ აღწევს. ამასთან ამ მავნებელს გადააქვს ვირუსული დაავადება ხახვის მოზაიკა, რომელიც ამ კულტურის სათესლე მასალის (ვეგეტაციურის) გადავარების ძირითადი მიზეზია. ამან კი გამოიწვია ნივრის საღი სარგავი მასალის კატასტროფული შემცირება და ბაზარზე მისი დეფიციტი.

შექმნილი მდგომარეობიდან დროებითი გამოსავალია ნივრის სარგავი მასალის ნარმობება და დამზადება მაღალმთიან (1700-2000 მ.ზ.დ.-დან) ზონებში, იქ, სადაც ნივრის ოთხფეხა ტკიპა არ გვხვდება. თუმცა აქ გავრცელებულია ისრის მკეთებელი ჯიშები, რომლებიც დაბალი გემური და ტექნოლოგიური მაჩვენებლებით ხასიათდებიან და ამავე დროს დაბლობებზე ძლიერ ზიანდებიან სხვადასხვა დაავადებებით (ჟანგა, სიდამლები).

პრობლემის საბოლოოდ მოსაგვარებლად აუცილებელია ქსოვილოვანი (მერისტემული) კულტურით ან ბიოლოგიური თესლის ლაბორატორიულად მიღების გზით ხახვის მოზაიკის ვირუსისაგან ნივრის სარგავი მასალის განთავისუფლება, რომელიც ძვირადღირებული და ორგანიზაციულადაც საკმაოდ რთული აღმოჩნდა.

ნივრის განვითარებისათვის ოპტიმალური ტემპერატურა 10-25 გრა-

დუსია და იგი საკმაოდ კარგი ყინვა-გამძლეობით ხასიათდება.

ნიადაგი ნიორისათვის უნდა იყოს განოყიერებული, კარგად გადამწვარი საქონლის ნაკელით, რისთვისაც ერთ ჰა-ზე 50-60 ტონა შეაქვთ. გათვალისწინებული უნდა იქნეს ის, რომ გადაუწვავი ან ცუდად გადამწვარი ნაკელი ბოლქვიან მცენარეებში სი-დამპლებს იწვევს. ამიტომ ნაკელი ან კარგად უნდა იყოს გადამწვარი ან ისეთი ნინამორბედი კულტურის (თავთავიანები, სიმინდი, მზესუმ-ზირა და ა.შ.) ქვეშ უნდა შევიტანოთ, რომელიც ნაკლებად რეაგირებს ასეთ ნაკელზე.

**ნივრის აგროტექნიკა.** ნიორისათვის კარგი ნინამორბედია პარკოსანი კულტურები, კიტრი, საადრეო კომ-ბოსტო, თავთავიანები და სხვა. ხახვის თესვის შემდგომ იმავე ნაკვეთზე ნივრის დარგვა დაუშვებელია, რადგან ერთნაირი მავნებელ-დაავადებებით ზიანდება.

ნინამორბედი კულტურის ანარჩინებისაგან გასუფთავების შემდეგ ნაკვეთი უნდა მოიხსას, ორგანული სასუქების შეტანის შემდეგ აგვისტო - სექტემბერში, დარგვამდე დაიდისკოს და დაიფრეზოს, მინერალური სასუქების შეტანის (N40 P30 K40) შემდეგ დაიჭრას, დაბაძოვდეს და მხოლოდ ამის შემდეგ დაირგოს.

დარგვის წინ ნივრის გადარჩეულ ბოლქვებს ანარილებენ კბილებად. დასარგავად უმჯობესია გამოვიყენოთ მსხვილი კბილები. ნიორი უნდა დაირგოს შემოდგომაზე, ყინვების დაწყებამდე 35-40 დღით ადრე. ასეთ დროს დარგვული ნიორი ზაფხულში დარგვების დაწყებამდე ასწრებს ბოლქვების დასრულებას და სარწყავებში ნანივრალი ნაკვეთი მეორე მოსავლის მისაღებად გამოიყენება.



ნიორი უნდა დაირგოს მწკრივად ან ზოლებრივად. პირველ შემთხვევაში მწკრივთაშორისი უნდა იყოს 30 სმ, ხოლო მწკრივში მცენარეთა შორის - 6-8 სმ. დარგვის წინ სასურველია ნიორის სარგავი მასალა მცირე ხნით ჩავასველოთ 3% ბენლატის ან ფუნდაზოლის და რომელიმე აკარიციდის (ომაიტი, ენვიდორი, თიოვიტ ჯეტი, ვერტიმეკი, ნეორონი და ა.შ.) ნაზავში. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ჩასველების მეთოდი იწვევს ნივრის სარგავი მასალის სრულ გაქრცელას. ამდენად უმჯობესია ამ ნაზავით მისი დატენიანება და გადანიჩნა.

ჰექტარზე რგვის ნორმა განისაზღვრება კბილების სისქით და მცენარეთა საჭექტარ დგომით. საერთოდ, წვრილკბილა ნივრის ჯიშების რგვის ნორმა ნაკლებია (700-1200 კგ/ჰ), მსხვილკბილანისა კი მეტი (800-1500 კგ/ჰ).

ნივრის ნარგაობაში ერთწლოვანი და მრავალწლოვანი სარეველების ნინამდეგ საბრძოლველად იყენებენ 50%-იან „გეზაგარდს“ 3-5 კგ/ჰ, ნიადაგს ასხურებენ კულტურის აღმოცენებამდე, ნივრის მავნებელ-დაავადებათა ნინააღმდეგ საბრძოლველად კი აუცილებელია 4-ნლიანი თესლბრუნვის დაცვა.

ბარის რაიონებში ნიორი ჩვეულებრივად ივნის-ივლისში შემოდის, მთაში - უფრო გვიან. ნიორი აღებული უნდა იქნას მშრალ ამინდში, როცა ფორი გამხმარია, ცრულერ მორბილებული და მინისაკენ დახრილი ან ჩაწეულია.

ამოთხრის შემდეგ ნიორს თავზევით ფორი უნდა ნაეჭრას 3-5 სმ დაცილებით და გაშრეს. ცუდად გამშრალ ნიორს გალებად დაწყულაც ინახავენ.

ჩვენში გავრცელებულია ნივრის შემდეგი დაავადებები და მავნებლები:



#### ნივრის დაავადებები:

**მცვანი ობი** – გამომწვევი –

**PenicilliumLink** – ის გვარის სოკოები.

მწვანე ობი ნივრის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. დაავადების ძლიერი განვითარება ხდება შენახვის პერიოდში, როდესაც საწყობში მაღალი ტემპერატურა და ტენიანობაა. საკმაოდ ხშირად დაავადება ვრცელდება სხვა დაავადებებით (პერიონსპოროზი, ფუზარი-ოზული სიდამპლები და სხვ.). ასევე დაავადების გამომწვევი მცვანარეში ხვდება მექანიკური დაზიანებების მეშვეობით.

დაავადების გამომწვევი გვარის სოკოები ფართოდაა გავრცელებული ნიადაგში და ვითარდებიან მცვანარეულ ნარჩენებში. დაავადება ვრცელდება კონიდიებით, რომელებიც საწყობში ხვდება ნივრის ბოლქვთან ერთად.

თავდაპირველი სიმპტომები ჩნდება ნივრის ბოლქვის გარეთა ფურცელებზე და ფუძეებზე, რომელებზეც ჩნდება მკრთალი ყვითელი ფერის სველი ლაქები. დროთა განმავლობაში დაზიანებული უბნები იფარება თეთრი ფერის ნადებით, ხოლო მოგვიანებით ნადები იღებს ობისთვის დამახასიათებელ მწვანე შეფერილობას. შესაძლებელია შეგვხვდეს ისეთი ბოლქვებიც, რომელთაც ნადები ჩამოყალიბებული აქვთ ყუნწზე. დაზიანებული ნივრის შიდა ქსოვილებს აქვთ რუხი შეფერილობა.

დაავადების ძლიერი გავრცელებისას ხდება საწყობში არსებული ნივრის სრულად ლპობა, რასაც თან სდევს უსიამოვნო სუნი. ტენიან პირობებში ხდება ნივრის ლპობა, ხოლო მშრალი

კლიმატის პირობებში – დაზიანებული ნივრის მუმიფიცირება.

**ნივრის ნაცრისფერი სიდამა-ლე** – გამომწვევი – *Sclerotinia porri Van beyma Thoe Kingma*. პათოგენი ინახება მიცელიუმის სახით დაზიანებულ ბოლქვებში და სკლეროციების სახით ნიადაგში.

კულტურის დაზიანება და დაავადების განვითარება ხდება როგორც ნიადაგის და ჰაერის მაღალი ტენიანობის, ასევე ცივი ამინდების ( $-13\text{--}15^{\circ}\text{C}$ ) დროს.

**დაავადების სიმპტომები** – ნივრის შენახვის პერიოდში მის კბილზე ჩნდება მოყვითალო ან მუქი ფერის მცირედ ჩაზნექილი რამდენიმე მილიმეტრის ზომის მქონე ლაქები. მოგვიანებით ლაქები იზრდება, კბილი ჭენება და ხდება მისი მუმიფიცირება. მაღალი ტენიანობის პირობებში დაზიანებულ ქსოვილებზე ვითარდება ნაცრისფერი ნადები. დაზიანებული კბილების დარგვის შემთხვევაში ვითარდება სუსტი და ქლოროზული მცვანარები. საშემოდგომო ნივრის ხნიერი ფოთლები ლპება და წვება. ბოლქვის შიდა ფურცლები მუქდებიან და მათზე ფორმირდება შავი სკლეროციები.

**სველი სიდამა-ლე** – ბოლქვს უმთავრესად საწყობში შენახვის დროს აზიანებს. დაავადებული ბოლქვი სველად ლპება. სათესლედ ასეთი დაზიანებული ბოლქვების გადარგვის დროს დაავადება ვრცელდება მიწის ზედა ნაწილებზეც. თუ თავის დროზე არ იქნა ჩატარებული პროფილაქტიკური ღონისძიებები, ნათესი შეიძლება მთლიანად განადგურდეს.

**თითრი სიდამა-ლე** – გამომწვევი სოკო *Sclerotiummecepivorumberk*

ამ დაავადებით მცვანარე ავადდება ვეგეტაციის ყველა პერიოდში და სასაწყობებები პირობებში. თუ ახალგაზრდა მცვანარე დაავადდა, ფორმი მთლიანად უყვითლდება. ფოთლების გაყვითლება იწყება წვეროდან, რომელიც სწრაფად ედება მცვანარეს. სოკოს სპორები იზამთრებს ნიადაგში. თუ ბოლქვი დაავადდა იგი მთლიანად იფარება თეთრი ფერის ნაფიცექტით.

**ანთრაქოზი** – აზიანებს ფოთლებს და წარმოქმნის მუქ მწვანე ან მოშავი შებერილობებს, ბალიშებს. შებერილობები გარშემორტყმულია ჯაგრისისებრი წარმონაქმნით. დაავადებული ფოთლები ყვითლდება და ცვივა.

**ნაცრისფერი სიჯუვავე** – აზიანებს ფორმის დაზიანებულ ფორმზე პირველ რიგში წარმოქმნება წვრილი ნაცრისფერი ლაქები. ამ ლაქებით მთლიანად იფარება ფორმი.

**ბაქტერიოზი** – გამომწვევი ბაქტერია *Pseudomonasxanthochlora (chuster) Stapp* ნიორი ავადდება ძირითადად შენახვის პერიოდში. კბილებს უჩნდება წყლულები, რომელიც სწრაფად ედება მთლიანად ბოლქვს და კანი ღებულობს მოვარდისფრო ფერს.

**პროფილაქტიკური ღონისძიებები:** თესლბრუნვის დაცვა, ნიადაგის დეზინფეცია, საწყობის დეზინფეცია, დაუზიანებელი ბოლქვების შენახვა საწყობში, სარეველებისგან ნაკვეთის გასუფთავება და შეგროვილი ანარჩენების დაწვა. ნიადაგის აგრონესებში დამუშავება და პესტიციდების თავის დროზე გამოყენება.

#### მავნებლები :

**ნივრის თოსზვანა ტკიანა** – საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებულია ნივრის ოთხფეხა ტკიანა, რომელიც დიდი ინტენსივობით მრავლდება ნივრის შეანახვის დროს და ინვევს მის გაქრობას(გამოფიცვას), ასე რომ მავნებელმა შესაძლოა სარგავი მასალა მთლიანად გაანადგუროს. ამ მავნებელს გადააქვს ვირუსული დაავადება, რაც ინვევს ნივრის სარგავი მასალის კატასტროფულ შემცირებას და ბაზარზე მის დეფიციტს.

აღნიშული მდგომარეობიდან გამოსავალია ნივრის სარგავი მასალის წარმოება და დამზადება მაღალმითან ზონებში, სადაც ეს მავნებელი არ

გვხვდება. ამ პრობლემის ნაწილობრივ გადაჭრისათვის აუცილებელია პროფილაქტიკური ლონისძიებების ჩატარება: ოთხწლიანი თესლბრუნვის დაცვა, არ შეიძლება ხივრის დარგვა ხახვის ნაკვეთზე, რადგან ერთი და იგივე მავნებლებით და დაავადებებით ზიანდებიან.

დარგვის წინ აუცილებელია სარგავი მასალის ჩასველება 15-20 წთ. 3%-იან ბენზატის ან ფუნდაზოლის და რომელიმე აკარიციდის (ომაიტი, ენვიდორი, ვერტიმეკი, ნეირონი) ნაზავში, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ჩასველების მეთოდი ინვევს ნივრის სარგავი მასალის სრულ გაქერცვლას. ამდენად უმჯობესია ამ ნაზავით მისი დატენიანება და დანიჩვა.

მიუხედავად იმისა, რომ ხახვი და ნიორი ძლიერი ფიტონციდი მცენარეები არიან, მათაც ჰყავთ მავნებლები. განსაკუთრებით საშიშ მავნებლებს მიეკუთვნება ხახვის ბუზი, თრიფსები და ჭიჭინობელა.

ნივრის მავნებლებისა და დაავადების ნინაალმდეგ ბრძოლა უნდა დავიწყოთ ადრე გაზაფხულზე.

**ნივრის თრიფსი** – თრიფსი საკმაოდ საშიში მავნებელია. იგი აზიანებს ნიორს.

ამ მავნებელს აქვს გრძელი, წვრილი (0,8- 0,9 მმ) ღია ყვითელი ან ყავისფერი შეფერილობის მატლები. წვენის მცენარის ქსოვილებიდან წოვენ, მცენარეზე ჩხვლეტის ადგილებში ნარმოიქმნება მოთეთორ ან ღია მოვყითალო ფერის მოვერცხლის-ფრო ლაქები. ძლიერი დაზიანების შემთხვევაში ფოთლები მუქდება და ცვივა.

მდედრი მცენარეულ ნარჩენებში ზამთრობს ნიადაგის ზედა ფენაში ან ნივრის ბოლქების კანქვეშ. ადრე გაზაფხულზე მავნებლები სანერბებში მცენარეული ნარჩენებით იკვებებიან. ღია გრუნტში ნივრის ალმოცნებისათანავე მავნებელი უკვე მათზე გადადის და ინტენსიურად მავნებლობს. თუ დროულად ვერ შევნიშნეთ შეიძლება ნათესი 30-40%-ით განადგურდეს.

**ხასვის პუზი** – ამ მავნებლით დაზიანებულ მცენარეს უჭკნება ფოჩი, აზიანებს ქვემოდან. დაზიანებულ მცენარეს თუ ამოვილებთ ბოლქვიანად ფურცლებს შორის შევნიშნავთ მრავალ მატლს, რომელთა სიგრძე მოზრდილ ასაკში 9-10 მმ-მდე აღ-

წევს. ეს მავნებელი მცენარეს აზიანებს როგორც ფოჩის ფორმირების ფაზაში, ასევე ბოლქვის ფორმირების დროს. ხახვის ბუზი მოყვითალო-მონაცრისფრო ექვსი-შვიდი მილი-მეტრი სიგრძის მნერია, რომელიც გარეგნულად ძალიან ჰგავს ოთახის ბუზის. მისი მატლი თეთრია, სუსტად გამოხატული თავითა და გლუვი არა-მახვილი ბოლოთი.

მავნებლისგან დაზიანებული ბოლქვი ლპება, ფოთლები ყვითლდება და ხმება. ძლიერი დაზიანების შემთხვევაში მცენარეები იღუპებიან. მატლების განვითარება გრძელდება 15-20 დღე. ამის შემდეგ ისინი ნიადაგში გადადიან და ჭუპრობას იწყებენ, ორ-სამ კვირაში ჭუპრებიდან ბუზები გამოდიან და ახალ თაობას იძლევიან. მავნებლის რეგენერაცია ორწლიანია.

**ჭიჭინობელა** – ჭიჭინობელა არის მავნებელი, რომელიც ნიორს აზიანებს. მისი ბუზი მომწვანო ბრინჯაოსფერია სიგრძით 5,5-9 მმ. მატლები იზამთრებენ ნიადაგში ან ბოლქვებში. ივნისში, მდედრები ბოლქვებთან ახლოს ნიადაგში ან კანქვეშ მცირე ჯგუფებად დებენ კვერცხებს. 5-10 დღის შემდეგ კვერცხიდან გამოსული მატლები ბოლქვებში იქრებიან. მსხვილ ბოლქვებში დიდი რაოდენობის მავნებელი გროვდება და მთლიანად ანადგურებს მათ.

18-20 დღის შემდეგ მატლები ნიადაგში გადადიან. იქ ისინი ჭუპრდებიან და ვითარდებიან. მეორე გამოფრენა ივლისის მეორე ნახევარში იწყება და შემოდგომამდე გრძელდება. მეორე თაობის მატლები იზამთრებენ ნიადაგში, ნაწილი კი – ბოლქვებსა და საწყობებში.

**პროფილაქტიკური ლონისძიებები:** თესლბრუნვის დაცვა, ნიადაგის მავნებლებისა (მომღრღნელი ხვატრების, მავთულა და ცრუჭმავთულა ჭიების, ღრაჭების და ა. შ.) და ხახვის ბუზის ნინაალმდეგ შეგვაექს რომელიმე გრანულირებული ინსექტიციდი (5 ან 10%-იანი ბაზუდინი ან დურსბანი და სხვა) 50 კგ/ჸ რაოდენობით, ხოლო როცა ნიორი სიმაღლეში 10 სმ-ს მიაღწევს, საჭიროა 25%-იანი არივოს 0,16 ლ/ჸ, ან 2,5%-იანი დეცისის 0,15 ლ/ჸ, ან 5%-იანი კარატეს 0,1 ლ/ჸ, ან კონფიდორ მაქსის 0,04-0,05 კგ/ჸ აშესურება.

ოთხფეხა ტკიპას წინაალმდეგ აუცილებელია 30%-იანი ომაიტის

1-1,5 კგ/ჸ, ან ბი-58 ახალი 0,5-0,9 ლ/ჸ, ან ენვიდორის 0,2 ლ/ჸ, ან ვერმიტების 0,3-1,2 ლ/ჸ, ან ნეორონის 0,8-1 ლ/ჸ ანდა სხვა რომელიმე აკარაციდის შესურება.

**ნივრის პიზარი** – მიუხედავად კულტურის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა საქართველოში ნივრის ჯიშები ძალიან ცოტაა. საქართველოში უფრო მეტად გავრცელებულია ნივრის ადგილობრივი ფორმები. სელექციური ჯიშებიდან ცნობილია შემდეგი ჯიშები: მესხური თეთრი, გორული, იმერული 23.

### მასხური თაობი.



**ნარმოშობა:** სამცხე-ჯავახეთის რეგიონი. გავრცელებულია ახალციხის ტერიტორიაზე.

**ჯიშის დახასიათება:** ჯიში მესხური თეთრი სავეგეტაციო პერიოდის მიხედვით საშუალო-საგვიანოა. ვარგისია როგორც საშემოდგომო, ისე საგაზაფხულო რგვისათვის. ივითარებს საშუალო სიდიდის, მოგრძომომრგვალო ფორმის ბოლქებს. ბოლქვის გარეთა მშრალი ქერქლები თეთრი ფერისაა, ხოლო შიგნითა კაბილები დაფარულია ისფერი ქერქლებით. ბოლქვი მკარივია და კარგი შენახვის უსარისიანი. ძალიან მწარე, უხვმოსავლიანი, საჟექტარო მოსავალი 12-15 ტ. მოყვავილე ჯიშია, ივითარებს როგორც ბოლქვებს, ასევე საყვავილე ბოლქუნებს, ამიტომ ბოლქუნებითაც შეიძლება გავამრავლოთ.

### გორული.

**ნარმოშობა:** შიდა ქართლის რეგიონი, გორი. დარაიონებულია 1984 წლიდან საქართველოს ყველა ზონაში.

**ჯიშის დახასიათება:** ჯიში გორულის სავეგეტაციო პერიოდი 110-130 დღეა. ვარგისია როგორც საშემოდგომო, ისე საგაზაფხულო რგვისათ-



ვის, მაგრამ უმჯობესია შემოდგომით დარგვა. ბოლქვის ფორმა მრგვალი-ბრტყელი, ოდნავ ზემოთ ამონეული. ინდექსი 0,7-0,75. ბოლქვის გარეთა ქერქლები თეთრი-მოიისფრო შეფერილობისაა, კბილები მსხვილი 7-12 ცალი. კბილის მშრალი ქერქლის შეფერვა ნაცრისფერი-მოყვითალო, გარეთა მხარე იასამინისფერი ხაოიანი. რბილობის ქერქლები კრემისფერია. ერთი თავი ნიორის მასა საშუალოდ 58 გრამია.

გემრიელი არომატული ნიორია, შეიცავს მშრალ ნივთიერებას 38,1%, ვიტამინებს 18,3 მილიგრამს 100 გრ-ზე, შაქარს 19,15%, ეთერზეთებს 0,22%. მაღალმოსავლიანი ჯიშია.

საკონკურსო ჯიშთა გამოცდაში სამი წლის / 1978-1981 / საშუალო მოსავ-ლიანობა 18,2 ტ / ჰა-ზე შეაძგენდა, რაც სტანდარტი გორულ ადგილობ-რივს აღმატებოდა 4,2 ტ / ჰა-ზე.

### იმპულტი 23.

**ნარმოშობა:** იმერეთის რეგიონი. გავრცელებულია საქართველოს ყველა ზონაში.

**ჯიშის დახასიათება:** ჯიში იმერული 23 საშუალო-საგვიანოა. ირგვება როგორც შემოდგომით, ასევე გაზაფხულზე. მიეკუთვნება მსხვილ კბილებიან ნიორს, კბილების საშუალო წონა 8-10გრ-ია. მისი გარდა



გარეთა კბილებისა, შიგნითა კბილებიც გამოიყენება სარგავად. ამიტომ ფართოდ ვრცელდება, როგორც მაღლალი სამეურნეო თვისებების მქონე. ბოლქვის ფორმა მრგვალი, ოდნავ ნაგრძელებული. კბილების მშრალი ქერქლების შეფერვა თეთრია, ხოლო შიგნითა რბილობის ქერქლები მოყვითალო. შემოდგომაზე დარგული იმერული 23 უფრო მაღალმოსავლიანია, საპექტარო მოსავალი 15 ტ., გაზაფხულზე დარგულის კი ნაკლები 10 ტ/ჰა-ზე.

**მდგრადი მომავალი-სისინავა,** სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ერთნაცვლებინი კულტურების კვლევის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი. სოფლის მეურნეობის დოქტორი;

**ნაორ მაბბპბი,** სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ერთნაცვლებინი კულტურების კვლევის დეპარტამენტის უფროსი. სოფლის მეურნეობის დოქტორი.

## 33 ლევა

# მუხუდოს პირლოგიური თავისებურებანი

მუხუდო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამარცვლე-პარაგვანი კულტურაა. საქართველოში პელად მოშევალიათ აა კულტურების სხვადასხვა ფორმები, როგორც პირლოგიური საკვებად, ასევე სასურსათებლი. დღესაც მოშევას დაინტერესებულ მოსახლეობას.

როგორც ცნობილია მუხუდო ნიადაგის მიმართ ნაკლებ მომთხოვნია. კარგად იზრდება არა მარტო შავ მიწაზე, არამედ ქვიშარზე. მუხუდო დატენიანებულ ჭაობიან ნიადაგებზე მუხუდო იზრდება ცუდად და გვაძლევს დაბალ მოსავალს. ოპტიმალურ მოსავალს ვლებულობთ ნეიტრალურ სუსტ მუხუდო ნიადაგებზე თესვა- მოყვანისას.

აღმონაცენი ადვილად იტანს გაზაფხულის მცირე ნაყინვებს. მიუხედავად ამისა, შემდეგი ფაზების გავლისათვის და ნორმალური განვითარებისათვის 20 გრადუსი ტემპერატურა ესაჭიროება. განსაკუთრებით ყვავილობის და ნაყოფის განვითარების პერიოდში. მარცვლის ჩასახვის და ყვავილობის პერიოდში

ცხელი ამინდი მისთვის აუცილებელია, ვინაიდან ამ პერიოდში ხანგრძლივი წვიმები და სითბოს ნაკლებობა ინვევს ასკონიტოზით დაავადებას. მცენარის ყვავილობა ფერხდება, რაც ამცირებს მარცვლის მოსავალს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ნალექის რაოდენობა 1000მმ-ზე მეტია.

მუხუდო ტენს მცირე რადენობით მოითხოვს, ადვილად გადააქვს მცირებნიანი გვალვა-ხანგრძლივი გვალვის პერიოდში აჩერებს ზრდას, მაგრამ ხელსაყრელი პირობების დადგომისთანავე ზრდა განახლდება და მცენარე გვაძლევს კარგ მოსავალს. ის თვითმტვერია მცენარეა. ძალიან იშვიათ შემთხვევაში ვეზდებით ჯვარედინ დამტვერვას. პირველი ყვავილი მუხუდოზე გამოჩნდება მთავარი



ეროს ქვედა ნაწილში. პირველი 5 დღე ყვავილობა მიმდინარეობს მთავარ ლეროზე, მე-6, მე-7 დღეს ყვავილები ჩნდება კარგად განვითარებულ გვერდით ტოტებზე. ერთდროულად ერთ მცენარეზე შეიძლება იყოს 30-ზე მეტი ყვავილი. ყვავილობა 20-30 დღე გრძელდება. სრულ განვითარებას პარკები აღწევენ 2-3

კვირის შემდეგ, ნათელ და თბილ ამინდში ყვავილობა, დამტკერვა და მარცვლის ფორმირება უკეთესად მიმდინარეობს. მუხუდოს კულტურის მნიშვნელობა დიდია გვალვიან და ნახევრად გვალვიან რაიონებში. მუხუდო (*Cicer arietinum*) ერთი ბოტანიკური ოჯახის-პარკოსნების (*Leguminosae*) შემადგენლობაში შედის. იგი ძევირფასი სასურათო მცენარეა. მისი მარცვალი შეიცავს 22-31%-მდე ცილებს, 47-60%-მდე ნახშირწყლებს, 4-7%-მდე ცხიმს. მუხუდოს თივაში ცილა 6,12%, ცხიმი 3,4 %. ნამჯაში კი შესაბამისად-3%, და 1,1% (კობალაძე, 1944). მუხუდო სხვა პარკოსნებისაგან განსხვავებით ძლიერ გვალვაგამძლეა,

ნაკლებად ზიანდება მემარცვლიათი. მომწიფებისას პარკები არ სკდება და მარცვალი არ იბნევა. კარგად ეგუება თითქმის ყველა ნიადაგს. საუკეთესო წინამორბედია თესლბრუნვაში პურეულისათვის. მუხუდო ითესება ადრე გაზაფხულზე და ოქტომბრის მეორე ნახევარში.

კულტურაში გავრცელებული მუხუდო ეკუთვნის ერთ სახეობას. მცენარე იზრდება 30-60 სმ. არ განიცდის ჩანოლას. თბილ ადგილებში ითესება შემოდგომით, თესლის წესისა და სათესლე მასალის სისქის მიხედვით, ჰექტარზე ითესება 80-150 კგ თესლი. თესლის ჩათესვის სიღრმე 4-5სმ. მისი სავეგეტაციო პერიოდი 75-80 დღეს უდრის. მუ-

ხუდო ითესება ფართო მწკრივებად. მწკრივებს შორის 15 სმ და ზოლებს შორის 45 სმ. მუხუდოს თესენ შერევითაც . მიმართავენ მუხუდოსა და ცულისპირას ნარევის თესვას. ასეთი წესით ჩატარებული ცდები 3-4 ც-ით მეტ მოსავალს იძლევა, ვიდრე მათი სუფთა ნათესი. პირველ პერიოდში მცენარე სუსტად იზრდება. ამ დროს საჭიროა ნიადაგის გაფხვიერება შემდეგ პერიოდში მცენარისათვის კიდევ საჭიროა 2-3 კულტივაცია-გაფხვიერება.

**ზორაპ სარალიძი,**  
**გორგა ცერეთიაძეი,**  
**რუსულან ბარაბალაძი,**  
**ზურა გილანიშვილი,**  
**პავა ვაჩინიშვილი**

## აგრონომის გვერდი

რუპრიკას უძლვება „მომავლის ფერმერი“

# გრძელ პითის ჩირქოცემის განვითარება?

მოგვითარეთ ან დარჩეთ, ტელ.: 595 80 80 81; ელ. ფოსტა: info@agro.ge  
ასუსტ მიმღებთ შურალ „ახალი აგრარული საქართველოს“ საშუალებით.

## 1. როდის შეიძლება მივართოთ ხეხილში კვირადი მხეობას და რა შარირატესობები აქვს?

კვირტის მყნობის (ოკულირება) საუკეთესო პერიოდია ივლისი-აგვისტო. უნდა შეირჩეს შედარებით გრილი პერიოდი დილით ადრე. დაუშვებელია დღის ყველაზე ცხელ და წვიმიან ამინდში მყნობა, რადგან ამ დროს კვირტა შეთვისება ძნელდება. კვირტით მყნობის უპირატესობიდან ხეხილის კულტურებისათვის აღსანიშნავია როგორც ყველაზე სწრაფი შესრულების, მარტივი და იაფი ხერხი. სხვა მეთოდებთან შედარებით კვირტით მყნობა მცირე რაოდენობის კალმებს საჭიროებს.

## 2. რამ შეიძლება გამოიწვიოს მცენარის ჭარბა?

- ჭინობის სხვადასხვა სახე არსებობს;
- ურნყავი რეგიონი;
- არასწორი (შუადღის პერიოდში მორნყვა) ან ჭარბი რწყვა;
- ტრაქემიკოზული (რასაც სოკოები იწვევენ);
- ტრაქეობაქტერიოზული (რასაც ბაქტერიები იწვევენ);
- ტოქსიკური (როცა პათოგენების ძლიერი ტოქსინები მცენარის მონამვლას იწვევენ).

## 3. მანერესებს ვაიტროტი რა დაავადება?

თეთრი სიდამპლე ანუ ვაიტროტი ყურძნის თეთრი სიდამპლეა, რომელიც ვაზის ყველა მწვანე ნაწილს აავადებს. განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებს მტევანს და

ყურძნის მარცვლებს. ყლორტები იფარება მურა ფერის რგოლისებრი ლაქებით. იგი ხშირად ვითარდება მტევნის ყუნწზე ან კუფხალზე. დაავადებული ნაწილი თანადათან ხმება, რის შედეგადაც მთელი მტევანი იღუპება. ყურძნის სიმწიფეს პერიოდში წარმოშობილ მარცვალს თეთრ ფერად ალპობს. ამ დაავადების განვითარებას ხელს უწყობს მაღალი ტემპერატურა 25-30°C და ჰერის მომატებული ტენი. განსაკუთრებით მასობრივად ვრცელდება დასეტყვის შემდეგ.

## 4. ფეივას ნარგაობაში დაგვიანებული ხომ არ არის აზლა აზოტიანი სასუსის შეტანა?

ფეივას პლანტაციის განვითარება აზოტიანი სასუსით შესაძლებელია გაზაფხულზე გადაბარვისთანავე, როდესაც 60% შეიტანება და ყვავილობის შემდეგ არაუგვი-ანეს 10-15 ივლისისა, როდესაც 40% შეიტანება.



## 5. რა დანიშნულება აქვს რაცის მცენარეს?

რაცის (*Brassica napus olifera*) ჯვაროსანთა ოჯახის ერთწლოვანი საშემოდგომო და საგაზაფხულო მცენარეა. საუკეთესოა როგორც თაფლოვანი, ზეთოვანი და საკვები კულტურა. მისი წარმოება მიზანშეწონილია ეკოლოგიური და აგროტექნიკური თვალსაზრისითაც.

## „სტიმუფუნგი“ - უსვი მოსავალი და ჯანმრთელი მომავალი



ორგანული სასუქი „სტიმუფუნგი“ გამოიყენება ფესვგარეშე გამოკვების, თესლისა და ტუბერის დამუშავებისთვის:

1კგ თესლის დამუშავება:

- ბოსტნეული 40მლ;
- გაზონის ბალახი 20მლ;
- მარცვლოვანი 1მლ;
- სიმინდი 2მლ;
- კარტოფილი 2მლ.

დოზირება: 1ჰა-ზე საჭირო რაოდენობა:

- ხეხილი, ვაზი, ციტრუსი კენკროვნები 1-2ლ/ჸა;

ამსავლის ხარისხებრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლის გასაუმჯობესებლად სა-სოფლო-სამუშაოები კულტურული ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს როგანული სასუქი, ზრდისა და ნაყოფილების სტიმულატორი „სტიმუფუნგი“, რომელიც ეფექტურია როგანულ მეურნეობებში და ეკოლოგიურად სუვითა აროდული მოსახვანად. „სტიმუფუნგი“ რამდენიმე ცელით წარმატებით გამოიყენება სოფლის გეურნეობაში მევენახეობის, მეხილეობისა და მიზოსტეობის მიმართულებით.

• ბოსტნეული, ბალჩეული, მარცვლეული, გაზონის ბალახები 1ლ/ჸა;

• დეკორატიული ხეები, ბუჩქები, ყვავილები 2-4მლ – 1ლ/ჸა წყალში.

„სტიმუფუნგით“ ფოთლოვანი გამოკვება შესაძლებელია როგორც ლია, ასევე – დახურულ გრუნტში.

„სტიმუფუნგით“ დამუშავება უზრუნველყოფს ადრეული და საერთო მოსავლიანობის მატებას 10-25%-ით, თესლების გაღივების მატებას 3-15%-ით; ვეგეტაციური ზრდისა და ყვავილობის სტიმულაცის, დაავადებების მდგრადობას გვალვისა და გარემოს სხვა არახელსაყრელი პირობებისადმი; ზრდის ვიტამინების (ბეტა-კაროტინის, ასკორბინმეტავის და სხვ.) შემცველობას მოსავალში 10-25%-ით, ამცირებს ნიტრატებისა და ნიტროზა-მინების შემცველობას 5-15%-ით. ნაყოფი ინარჩუნებს ბუნებრივ არომატს ამინომეტავების, ვიტამინებისა და მინერალების რაოდენობის გაზრდის ხარჯზე; იჩენს მცენარის გამძლეობას ჰერბიციდებით, პარაზიტებით და კლიმატური ცვლილებებით გამოწვე-

ული სტრესის დროს; ხარისხიან მოსავალთან ერთად ვიღებთ პროდუქციის შენახვის ვადის გახანგრძლივებას.

„სტიმუფუნგის“ დამატება-გამოყენება შესაძლებელია მცენარეთა სტანდარტული დამუშავების დროს ინსექტიციდებთან, ჰერბიციდებთან, ნემატოციდებთან და სასუქებთან.

საერთო მოსავლიანობის მატება „სტიმუფუნგის“ გამოყენებით:

- პომიდორი, კიტრი, ყაბაყი, წინაკა, სტაფილო, ბადრიჯანი, ხახვი, კამია, სალათა, კომბოსტო – 10-20%
- კარტოფილი – 30%
- ხორბალი, ჭვავი, ქერი – 3-5%
- სიმინდი – 3-6%
- მზესუმზირა – 10-25%
- ვაშლი – 10%
- ვაზი – 21-24%
- ყვავილოვანი კულტურები – 10-15%
- გაზონის ბალახები – 7-17%
- დეკორატიული ხეები და ბუჩქები – 9-10%

### ნარჩაფების ისფორი

რუბრიკას უძღვება „მომავლის ზერმერი“

## ბოცვრის მრავალფეროვანი ჯიშებითა და მწვანე კვერცხისძეგლი ეათმით სახელგანთქმული ფერმერი კატარა გლდანიძე

თენგიზ ოდიშვილი „მომავლის ფერმერია“. მან აქტიური ფერმერული საქმიანობა დაახლოებით 3-4 წლის წინათ ბოცვრების საჯიშედ გაზრდითა და გამოყვანით დაინწყო. ბოცვრების გაზრდა მისთვის უცხო არ ყოფილა, რადგან ბებია-ბაბუასთან ერთად მათ მოვლაში ბავშვობიდან იყო ჩართული. სკოლის დამთავრების შემდეგ კი დამოუკი-

დებლად შეეცადა ამ საქმიანობის-თვის გაერთმია თავი. შემდეგ იყო რამდენიმე სამსახური, თუმცა, მალე დაუბრუნდა საყვარელ საქმეს, გაცენო ლიტერატურას და როგორც თავად ამბობს, „მომავლის ფერმერის“ კონსულტანტების მეშვეობით საფუძვლიანად შეისწავლა ბოცვრის გაზრდის ტექნოლოგია.

თენგიზს ბოცვრების ფერმა პატა-



რა გლდანში, საცხოვრებელთან აქვს მოწყობილი. დღეს მის ყოველდღიურ საზრუნავს 150-მდე ბოცვერი ნარმოადგენს. მათ შორისაა: ვენური ცისფერი, რექსი, ახალზელანდიური, კალიფორნიული, გოლიათი, პეპელა, ბელგიური ფლანდრი, გერმანული რიზერი, შტოკერი, ოქროსფერი ბურგუნდიული ჯიშის ბოცვერები. ახალგაზრდა ფერმერი დაუზარებლად უკვალავს გზას იმ ფერმერებს, ვინც ბოცვერების მოშენება-გამრავლებას ცდილობს.

გარდა ბოცვერებისა, მის ფერმაში ერთი შეხედვით ჩვეულებრივ, მაგრამ განსხვავებული სახეობის ფრინველებსაც შეხვდებით. კერძოდ, ამერიკულ ბრამსა და აფრიკულ არაუკანს. ამერიკული ბრამის ჯიშის ქათამი განსაკუთრებით ლამაზია და 6 - დან 7 კილომდე იზრდება, აფრიკული არაუკანი კი უქოლესტერინოა. მისი ხორციც და კვერცხიც დიეტურია. კვერცხი მწანე შეფერილობისაა და ამით უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს. ჟყავს შინაური ქათმებიც. კვერცხს უმეტესად საინკუბაციოდ ჰყიდის.

თენგიზს სიამოვნებას ანიჭებს საქმე, რომელსაც ყოველდღიურად აკეთებს და ოჯახის რჩენასაც თავისი ფერმერული საქმიანობის შედეგად ახერხებს.

„პოლო 2 წელია მოსახლეობა დაინტერესდა ბოცვერის მოშენებით, თუმცა, ბევრი ვერ რისკავს იმის შემთხვევაში, რომ შეიძლება ბოცვერი დახეხოცოთ და ზარალი მიიღონ. ფერმერობა ადვილი არ არის... თუ მხოლოდ შემოსავლის გამო გსურს, რომ ბოცვერი იყოლიო, ასე შედეგს ვერ მიაღწევ. სხვანაირი მიღვიმა, ცხოველის სიყვარულია საჭირო და ისიც დაგემორჩილება. ბოცვერი მაღლება მრავლდება, მაგრამ დაავადებებიც ადვილად იჩენს თავს. ამ დროს მისი დაკვლავა გამოსავალი არაა, რასაც უმეტესად აკეთებენ. უნდა უმკურნალო მათ და თუ სიკვარულით უკვლი და ხედავ როგორი მზრუნველობა, დედობრივი გრძნობა აქვს ბოცვერს თავისი ბაჭიების მიმართ, ადამიანსაც შეგეცვლება დამოკიდებულება,“ - ამბობს ფერმერი, რომელიც სამომავლოდ ბოცვერის სახორცელ მოშენებასაც გევმავს.

თენგიზ ოდიშვილი იმ პრობლემებზეც საუბრობს, რასაც დღეს დამწყე-



ბი მებოცვრე ფერმერები აწყდებიან. მისი აზრით, მნიშვნელოვანია სახელმწიფო დაქმაროს ამ სფეროთი დაინტერესებულ ადამიანებს და მისცემების დაბალპროცენტიანი სესხი. საჭიროა ტერიტორია, კაპიტალური გალიების მოწყობა და უფრო მეტი ადამიანი გაბედავს ბოცვერის მოშენებას, აღარ

ათად აინტერესებთ. არ ვიყენებთ მის ბეწვს, ევროპის ქვეყნებში კი მას ფაბრიკებში ამუშავებენ. ასევე, კურდღლის თავებისგან ძვირადირებულ წებოს ამზადებენ. საკუთარი სახსრებით ამის გაკეთება ძალიან რთულია. ეს მიმართულებებიც რომ იყოს ჩვენთან განვითარებული, უფრო მეტი ადამიანი დაინტერესდება, რადგან ბოცვერი სხვა ცხოველებთან შედარებით ფინანსურად მომგებიანია.



იყიდან გაყინულ პროდუქტს, გაუჩნდებათ შემოსავალი და ოჯახის რჩენაშიც დაეხმარებათ.

ბოცვერს დაბალი იმუნიტეტი აქვს. დაავადებები ადვილად ვრცელდება. საქართველოში, ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, არ გვაქვს ისეთი წამლები, რომ ყველა დაავადებას დროულად კურნავდეს. შეიძლება მისი გაზრდისას ყველა წესს იცავდე, მაგრამ როცა სისხლის ასარევად სხვისი ბოცვერი მოგყავს, შეიძლება მისგან გადაედოს რაიმე.

საქართველოში ბოცვერის ბოლომდე ათვისება არ ხდება. ხორცის რეალიზაცია 50%-მდეა, ქონი იშვი-

ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს განათლებას. მებოცვრე ფერმერები ერთმანეთში მუდმივად ვცვლით ინფორმაციას, თუ როგორ შევებრძოლოთ კონკრეტულად ამა თუ იმ დაავადებას. თუმცა, ეს საკმარისი არაა. საწყის ეტაპზე დიდი ცოდნა მივიღე „მომავლის ფერმერის“ ვეტკონსულტანტების დახმარებით, რაც პრატიკულ საქმიანობაში მნიშვნელოვნად დამეხმარა და ბევრჯერ დროულად დავალნიერ თავი ამა თუ იმ გავრცელებულ დაავადებას. დღეს ყველა დამწყებს მიგასწავლი ამ ორგანიზაციას, რადგან ვიცი მათგან მიღებული კომპეტენტური რჩევებით არავინ დაზარალდება“, - ალნიშვილის 33 წლის ფერმერი და დამწყებებს ურჩევს თავდაპირველად რამდენიმე ბოცვერი შეიძინობ, შეისწავლონ მათი გაზრდის ტექნიკულოგია, შეეჩინონ და ნელ-ნელა გაამრავლონ. ბოცვერი წყნარი და მშვიდი ცხოველია. მარტო გალიაში ჩასმა და გამოკვება საკმარისი არაა. მას განსაკუთრებული მზრუნველობა სჭირდება.

# სეილოვანი და კაკლოვანი კულტურების ნაყოფების სპეციალური მცირებასარიტიანი მანქანა

ცოდლის მიურნეობის ეფექტურობის გაზრდის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს საძირინო-ტექნიკური მომსახურების დონის აღალლება. საქართველოს სოფლის მიურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიაში რაგორცული და დარგობრივი განვითარების მი- გართულებით გათვალისწინებულია სასოფლო-სამურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის აგალლება, რომლის შესაბამისად სის „სოფლის მი- ურნეობის სამსახური-კვლევითი ცენტრის“ აგრძელებული კვლევით სამსახური მუშავდება პროგრამა „სასოფლო-სამურნეო კულტურების წარმოების თანამდებოვა სამარტინ ტექნიკობიექტისა და ტექნიკური საშუალებების კვლევა და ადაპტაცია საქართველოს პუნქტობის გარეშე გათვალისწინებით“.

აღნიშნული პროგრამის ერთ-ერთ აქტივობას წარმოადგენს მექანიზა- ციის დონის ამაღლება მებალეობა- მეხილეობაში. შესაბამისად, აგრო- საინჟინრო კვლევის სამსახურის სა- მუშაო გეგმით გათვალისწინებულია მებალეობაში ერთ-ერთი ძირითადი შრომატევადი პროცესის-მოსავლის აღების ოპერაციების მექანიზაციის მიზნით, მარტივი კონსტრუქციის, შედარებით იაფი, ფერმერებისათ- ვის ხელმისაწვდომი ტექნიკური სა- შუალების შექმნა და გავრცელება. პროექტის მიზანია მებალეობაში მოსავლის აღების პროცესზე შრომის დანახარჯების შემცირება, მნარმო- ებლობის გაზრდა და ხელის მძიმე შრომის აღმოფხვრა.

დასახული მიზნის მიღწევისათვის, უპირველეს ყოვლისა შესწავლილ იქნა მოსავლის ამაღები, უცხოური წარმოების, მანქანები და მოწყო- ბილობები, რომლებიც ძირითად


განკუთვნილია სამექანიზაციო რიგ- თაშორისების (5x4, 5x5, 6x5) გაშე- ნებული ბალებისათვის; არსებული მანქანების კონსტრუქციები რთუ- ლია, გარდა ამისა ძვირია და მათი შემოტანა საქართველოში დაკავ- შირებულია დამატებით ფინანსურ ხარჯებთან. უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთ არსებული მანქანე- ბის და მოწყობილობების ძირითად სამუშაო ორგანოს წარმოადგენს მე- ქანიკური ვიბრატორები, რომელთაც გააჩნიათ მცენარის შტამბის ხისტი სატაცები. შესაბამისად რხევები გა- დაეცემა არა მარტო მცენარის მი- ნისზედაც ტოტებს, არა მედ მცენარის მინისეკვეშა ნაწილსაც (ფესვებს), რაც ინვენის მცენარის ფესვთა სისტემის დაზიანებას და სიცოცხლისუნარია- ნობის დაქვეითებას.

ასევე უნდა აღინიშნოს, უცხოური წარმოების, ზურგზე საკიდი მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალე-

ბების ნაკლოვანებები, რომლებიც ძირითადად აღჭურვილია მცირე სიმძლავრის ძრავებით. ისინი ხასი- ათდებიან დაბალი მნარმობლობით, მაღალი წონით და ვიბრაციით, რაც თავისთავად უარყოფითად მოქმე- დებს მეშვის შრომისუნარიანობაზე და ჯანმრთელობაზე.


უცხოური წარმოების მანქანების, ზემოთაღნიშნული ნაკლოვანებების და საქართველოში არსებული ბალე- ბის აგროტექნიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით, ჩვენს მიერ და- მუშავებულ იქნა მოსავლის ამაღები, მცირებაბრიტიანი, მოტობლოკზე დააგრეგატებული მოწყობილობის ტექნოლოგიური სქემა და ესკიზური ნახაზები (ნახ.1), რომლის მიხედვით დამზადებულ იქნა მანქანის საცდე- ლი ნიმუში. მანქანის კონსტრუქცია მარტივია და ლირებულება მოტობ- ლოკის გარეშე საორიენტაციოდ შეადგენს 1800 ლარს, რაც ხელმი- საწვდომია ქართველი ფერმერები- სათვის.

მანქანის დასააგრეგატებლად გამოყენებულია მოტობლოკი MTC- FLEX „ბარბიერი“, რომელიც აღ- ჭურვილია „ჰონდა“-ს ფირმის GX 200, ბეზზიზე მომუშავე ძრავით, სიმძლავრით 6,5 ც.ძ (4,8 კვტ). აღ- ნიშნული მოტობლოკი, სოფლის მე- ურნეობის სამინისტროს ინიციატი- ვით, შემოტანილია საქართველოში და გადაეცათ ქართველ ფერმერების



ნახ.1 მანქანის ტექნოლოგიური სქემა

1-მოტობლოკი; 2-მანქანის ჩარჩო; 3-ნაყოფების ყუთი; 4-მცენარის შტამბი; 5-ნაყოფდამჭერი მოწყობილობა; 6-მექანიკური ვიბრატორი გადაცემა; 8-საბურდენი საბურდენი; 9-ნაყოფდამჭერი ფარდაცი (ბადე); 10-დრეკაცი სატაცი.



და კონკურენციული მოტობლოკს გააჩნია მართვის 180°-ით საბრუნი სისტემა, რაც განაპირობებს მასზე სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღების დააგრეგატებას.

მოტობლოკ MTC-FLEX (3x2) ტექ- ნიკური დახასიათება:

1. სავალი ნაწილი – ორთვლიანი;
2. მართვის ბერკეტები – საბრუნი 180°-ით;

#### 3. ძრავი:

- მარკა HONDA – GX 200;
- საწვავის ტიპი – ბენზინი;
- სიმძლავრე 4,8 კვტ, (6,5 ცხ.ძ);
- ნომინალური ბრუნთა რიცხვი – 3600 ბრ./წთ;
- მოცულობა – 196°.

#### 4. სიჩქარეები:

ნინ – I – 1,3 კმ/სთ; II – 2,5 კმ/სთ; III – 7,3 კმ/სთ. უკან – 2,1 კმ/სთ.

5. ძალამრევი ლილვის მაქსიმალური ბრუნთა რიცხვი – 943 ბრ./წთ;

#### 6. გაბარიტული ზომები:

სიგრძე – 1735 მმ; სიმაღლე – 500-1250 მმ; სიგანე – 460-550 მმ.

7. კონპლექტაცია: სათიბელა, ფრეზი, გუთანი, კვალგამხსნელი, მეტალის თვლები და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, მოტობლოკი MTC-FLEX (3x2) შემოტანილია საქართველოში დიდი რაოდენობით და ხელმისაწვდომია თოთქმის ყველა ფერმერისათვის, რამაც განაპირობა აღნიშნულ მოტობლოკზე ხეხილოვანი და კაკლოვანი კულტურების ნაყოფების საბერტყყი და შემგროვებელი მანქანის დააგრეგატება.

ჩვენს მიერ რეკომენდებული მანქანის უპირატესობას არსებულ მანქანებთან შედარებით წარმოადგენს ენერგიის მცირე ხარჯი, მაღალი მწარმოებლობა, კონსტრუქციის სიმარტივე, მცირე გაბარიტული ზომები, ვიწრორიგთაშორისებში მუშაობის შესაძლებლობა, მანევრულობა. გარდა ზემოთ აღნიშნულ უპირატესობებისა, მანქანა არ აზიანებს მცენარის ფესვთა სისტემას, ვინაიდან მას გააჩნია ვიბრატორი დრეკადელემენტიანი სატაციო, რომელიც ვიბრაციის დროს მცენარის ტოტი იზიდავს მისკენ, ხოლო საპირისპირ მიმართულებით ტოტი გადადგილდება საკუთარი დრეკადობის ხარჯზე. შესაბამისად

ვიბრაცია გადაეცემა მხოლოდ მცენარის ტოტებს და არა მის ფესვთა სისტემას. ვინაიდან ტოტის იძულებით გადახრა ხდება მხოლოდ ერთ მხარეს, რხევაზე დახარჯული ენერგია სისტ სატაცებიან ვიბრატორებთან შედარებით ნახევრდება, რაც საშუალებას გვაძლევს დავზოგოთ ენერგია და გამოვიყენოთ შედარებით დაბალი სიმძლავრის მქონე მოტობლოკები.

მდგომარეობაში შემოკეცილია მოტობლოკის გრძივი ღერძის პარალელურად. საჭიროების შემთხვევაში (მაგალითად ფერდობზე) მანქანის უკანა საბჯენს ჩაუშვებს ნიადაგში და ჩართავს ვიბრატორს. ნაყოფების ჩამოცვენის შემდეგ გამოიღებს სავსე ყუთს და შეცვლის ცარიელი ყუთით.

რეკომენდებული მანქანის გამოყენება მიზანშენილია კაკლოვანი



#### სურ.2 მანქანა ძირითადად შედგება სამი მექანიზმისაგან.

1. ამძრვი მექანიზმი – რედუქტორი და ლეველური გადაცემა; 2. მბერტყავი მოწყობილობა – მექანიკური, ექსცენტრული ვიბრატორი; 3. ნაყოფდამუშრი მოწყობილობა – გასაშლელი ფარდაგი (ბადე) ყუთით.

მანქანის ვიბრატორს გააჩნია რხევის სიხშირისა და ამპლიტუდის ცვალებადობის შესაძლებლობა, რაც მიიღება ვიბრატორის მხრეულაზე დრეკადი სატაცის ჩაბმის ნერტილის გადაადგილებით და მოტობლოკის ძრავის ბრუნთა რიცხვის ცვალებადობით. აღნიშნული რეგულირებები საშუალებას გვაძლევს მანქანა გამოვიყენოთ სხვადასხვა მცენარის (ვაშლი, მსხალი, ტყემალი, ქლიავი, თხილი, ნუში და სხვა). ნაყოფების ჩამოსაბერტყად და შესაგროვებლად.

მანქანის მუშაობა ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით: ოპერატორი მიმართავს მას მცენარის შტამპისაკენ, მიაყრდნობს შტამპს წინა მისაბჯენით, რომელზედაც გადაკრულია რბილი ქჩა, რომ არ მოხდეს მცენარის შტამპის დაზიანება; შემდეგ ოპერატორი ვიბრატორის დრეკად ელემენტს (ბაგირს, ჯაჭვს, თოკს და სხვ). ჩააბამს მცენარის მთავარ ტოტს; შემდეგ ვარჯის ქვეშ გაშლის ნაყოფდამჭერ მოწყობილობას, რომელიც საწყის

მცენარეების (თხილის, ნუშის, დაბალვარჯიანი კაკლის) ნაყოფების ჩამოსაბერტყად, რომელთა ნაყოფები ჩამობერტყვის შემთხვევაში არ დაზიანდება. მისი გამოყენება შესაძლებელია ასევე ვამლის, მსხლის, ტყემლის, ქლიავის და სხვა ხეხილოვანი კულტურების ნაყოფების ჩამოსაბერტყად, რომლებიც განკუთვნილია წვენების მისაღებად. გარდა ზემოთაღნიშნული ოპერატორისა, მანქანის გამოყენება შესაძლებელია ზამთარში დიდთოვლობის პერიოდში მარადმწვანე (ციტრუსები, ფეხის და სხვა) მცენარეებიდან თოვლის ჩამოსაბერტყად, რომელიც ხშირად იწვევს მცენარის ტოტების ჩამოტეხვას და მინიშვნელოვან დაზიანებას.

**ერთა ნატივური,**  
სხის სოფლის მუშაობის  
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის  
დირექტორის მოადვილე, ტ. მ. დ;

**ნუშია მანქანი,**  
აგროსაიუნივერსიტეტის სამსახურის  
უფროსი, პროფესორი

# სენაჟის მიზანელობა და დამზადების ტექნიკური საფეხუალი

მეცნიერებელების მიზანთად გამოიყენება მცენარეული წარმოშობის საკვეთი, რომელიც მზადდება გალაზის ვეგიტაციური განვითარების შემთხვევაში, რომელიც გადამზადება და დამზადების მიზანთად გალაზის ვეგიტაციური განვითარების შემთხვევაში.

საკვების შემჭიდროებულ ვადებში დამზადება შესაძლებელია მისი დამზადების არსებული ხერხებისა და მეთოდების სრულყოფისა ან ახალი ტექნოლოგიების დამუშავებისა და ნარმოებაში დანერგვის გზით.

მეცნიერებელი მიზანი საკვების შემჭიდროებისათვის მყარი საკვები ბაზის შექმნის მნიშვნელოვანი პირობაა ახალი პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებით ისეთი მაღალხარისხის საკვების დამზადება, რომელიც უზრუნველყოფს სათიბის ერთეული ფართობიდან მაქსიმალური რაოდენობის საკვები ერთეულის (ს.ე.) მიღებასა და შენახვის პროცესში მის არანაკლებ 90 %-ის ზღვრებში შენარჩუნებას. ასეთ საკვებად მიჩნეულია ბალახებისგან დამზადებული, შედარებით ახალი სახის საკვები – ს.ე 6 ა. უ. ი.

სენაჟი მზადდება უფრო სრულყოფილი მეთოდებით, ვიდრე თივა, რაც საშუალებას იძლევა 1 ჰა ფართო-ბიდან მივიღოთ 1000...1500 ს.ე.-ით მეტი, ვიდრე თივის დამზადებისას და 300...400 ს.ე.-ით მეტი სილოსთან შედარებით. სენაჟის თვითღირებულება მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე თივისა და სილოსის.

სენაჟს თავისი თვისებებით შუალედური მდგრმარეობა უკავია თივასა და სილოსს შორის. თუ თივა მზადდება ბალახის 18...20 % ტენიანობამდე გაშრობით, სასილოსე მასის

ტენიანობა 65%-ზე მეტია, ხოლო სენაჟისათვის გამოიყენება მინდორში მოთიბული და 45...55% ტენიანობამდე შემჭინარი ბალახი ან ბალახების ნარევი.

სენაჟის დამზადება წარმოადგენს ბალახოვანი საკვების დამზადების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ხერხს, იგი საყუათო ნივთიერებებით ახლოსაა მწვანე ბალახთან.

14...18 ლ. წველადობის ფურების რაციონში სენაჟით შეიძლება თივისა და სილოსის მთლიანად, ხოლო ძირნაყოფების (ჭარხალი) ნაწილობრივ შეცვლა, მიღებული რძის ხარისხისა და რაოდენობის შემცირების გარეშე მსხვილფეხა პირუტყვის 9...11 თვის ასაკის მოზარდებში 10 კგ სენაჟისა და 1,1 კგ კონცენტრატით შედგენილი რაციონით ცოცხალი მასის საშუალო სადღელამისო მატება 850...880 გრამია.

ძირნაყოფების, სილოსისა და თივის სენაჟით შეცვლით 1 ც რძის წარმოებაზე დახარჯული საკვების ღირებულება მცირდება 28%-ით.

სენაჟის ხარისხი დამოკიდებულია მრავალ ისეთ ფაქტორზე, როგორიცაა საწყისი ნედლეულის ქიმიური შედგენილობა, საკვები კულტურების ვეგეტაციური განვითარების ფაზა, ბალახის მოთიბვის დრო და სასენაჟე მასის დაწინების, შეფუთვისა და შენახვის პირობები.

როგორც ცნობილია, პარკოსანი ბალახებიდან თივის დამზადებისა დანაკარგი მინდორში 50%-მდეა, ამის გამო პარკოსანი ბალახებიდან თივის დამზადება, მზის სხივების პირდაპირი ზემოქმედების პირობებში, თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან ბალახის მინდორში 18...20 % ტენიანობამდე გაშრობისას ფოთლები და ყვავილები იმტკრევა და ცვივა მაშინ, როცა ღეროები ისევ ნედლია. ფოთლები და ყვავილები კი მცენარის მთლიანი მასის ნახევარს შეადგენს და შეიცავს 80 %-მდე პროტეინს.

იმის გამო, რომ პარკოსან ბალახებში შეაქრის შემცველობა დაპალია, მისგან სუფთა სახით ხარისხიანი სილოსის დამზადება კონსერვანტების გამოყენების გარეშე ძნელი ან შეუძლებელია. პარკოსანი ბალახები მიეკუთვნებიან ძნელად დასასილო-სებელ კულტურებს.

სენაჟი შეიძლება დამზადდეს ნებისმიერი ბალახისაგან, მაგრამ განსაკუთრებით მაღალი ხარისხის სენაჟი მიღება მრავალწლიანი პარკოსანი ბალახებისაგან: იონჯა, ესპარცეტი, სამყურა და პარკოსან-მარცვლოვანი ბალახების ნარევისაგან.

სენაჟის, როგორც ნებისმიერი სხვა საკვების ხარისხი, დამოკიდებულია საწყისი ნედლეულის ხარისხზე.

დაკონსერვებული საკვების კვებითი ღირებულება ყოველთვის დაპალია საწყის ნედლეულთან შედარებით. დაკონსერვებისას საკვებისა და მისი საყუათო ნივთიერებების დანაკარგების მთლიანად აღმოფხვრა შეუძლებელია, მაგრამ რამდენადაც მცირეა ეს დანაკარგები, იმდენად მაღალია დაკონსერვების შედეგი.

სენაჟის დამზადების პროცესში ძირითადი ამოცანა სათიბების ერთეული ფართობიდან მიღებული სასენაჟე მასის საწყის ნედლეულში არსებული საყუათო ნივთიერებების შესაძლებლად მაქსიმალურად შენარჩუნება, ხოლო დაკონსერვებისა და შენახვის პროცესის მინიმალური დანაკარგებით ჩატარება.

ასეთი შედეგების მიღება შესაძლებელია და მარცვლების გადამზადების დამზადების მიზანთად განვითარება.



სურ. 1. ტრანზერაში სასენაჟე მასის მოხსენება და დატკეპნა

ლებელია ბალახის ოპტიმალური ვე-  
გეტაციური განვითარების ფაზაში  
მოთიქისა და სასენაჟე მასის მომ-  
ზადების პროცესის ტექნოლოგიური  
მოთხოვნების დაცვით ჩატარების  
შემთხვევაში.

პარკოსანი ბალახების აღება იწყე-  
ბა კუკრის წარმოქმნისას და მთავრ-  
დება ყვავილობის დაწყების ფაზაში.  
მარცვლეული ბალახების აღებისას  
ოპტიმალური თავთავის წარმოქმ-  
ნის ფაზა. ამ პერიოდში ბალახი ხასი-  
ათდება დიდი შეფოთვლითა და მა-  
ლალი ყუათიანობით და შეიცავს მცი-  
რე რაოდენობის უჯრედის, ხოლო  
ყვავილისა და თავთავის წარმოქმნი-  
სა და დამთავრების ფაზების გავლის  
შემდეგ მცენარეში იწყება საყუათო  
ნივთიერებების უკუგადინება გამ-  
რავლების ორგანოებში: თავთავში,  
კოკრებსა და ყვავილედებში, სადაც  
ყალიბდება მარცვალი და მნიშვნე-  
ლოვნად მცირდება ბალახის კვებითი  
ღირებულება.

ოპტიმალურ აგროტექნიკურ ვა-  
დებში აღებული ბალახებიდან მა-  
ლალი ხარისხის საკვების მიღების  
ძირითადი პირობებია: **მოთბული**  
**ბალახის მინდოორში 45...55 % ტე-**  
**ნიანობამდე შეჭრიობა, დაკუნგა,**  
**350...400 კგ/მ<sup>3</sup> სიმკვრივემდე დაწნე-**  
**სა და ანაერობულ პირობებში დაკონ-**  
**სერვება.**

სასენაჟე მასის დაკონსერვებას  
ხელს უწყობს სამი ძირითადი ფაქ-  
ტორი: ბალახის უჯრედების ფი-  
ზიოლოგიური სიმშრალე, საცავში  
დაწნებილ სასენაჟე მასაში ნახში-  
რორუანგის წარმოქმნა და დასილო-  
სების პროცესთან შედარებით მცირე  
რაოდენობის ორგანული მუავების  
დაგროვება.

სენაჟის დასამზადებლად ვარგისი  
სანეისი ნედლეულის ფიზიოლოგიუ-  
რი სიმშრალე დგება: მარცვლოვანი  
ბალახებისათვის 40...45 %, ხოლო  
პარკოსანი ბალახებისათვის 45...55 %  
ტენიანობამდე შეჭრიობისას.

ზოგადად სასენაჟე მასის მინ-  
დორში შეჭრიობის ოპტიმალურ ტე-  
ნიანობად მიღებულია 45...55 %. ამ  
ტენიანობამდე შემჭვნარი ბალახების  
დაკონსერვება ხდება მცენარის უჯ-  
რედებში წყლის იმ არასაკმარისი  
რაოდენობის არსებობის გამო, რო-  
მელიც ბაქტერიათა უმრავლესობას  
ესაჭიროება ინტენსიური განვითა-  
რებისათვის და ვერ იღებს მას ბა-


ლახის უჯრედების ფიზიოლოგიური  
სიმშრალის გამო.

ოპტიმალური ტენიანობისას ბა-  
ლახის უჯრედშიგა წყლის შეკავება  
უჯრედების მიერ ხდება 5,5...6,0 მპა  
(550...600 ნ/სმ<sup>2</sup>) ძალით, ხოლო ბაქ-  
ტერიების უმრავლესობის შენოვის  
ძალა 5,0...5,5 მპა (500...550 ნ/სმ<sup>2</sup>).

ამგვარად, სასენაჟე მასის ოპტი-  
მალური ტენიანობისას უჯრედშიგა  
წყალი ბაქტერიების უმრავლესო-  
ბისათვის ძნელი შესაღწევია. ამის  
შედეგად სენაჟში მუავას წარმოქმნა,  
სილოსთან შედარებით, შეზღუდუ-  
ლია და სუსტად ვითარდებიან ლპო-  
ბისა და ერბომუჟური ბაქტერიები,  
რაც ხელს უწყობს საყუათო ნივ-  
თიერებების შენარჩუნებას, მაგრამ

გამომწვევი ბაქტერიების განვითა-  
რების შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანია ბალახის შეჭკ-  
ნობის ხარისხის სწორად განსაზღვრა.  
თუ შემჭვნარი ბალახის აღებას  
დავიწყებთ ოპტიმალურზე მაღალი  
ტენიანობისას, პროცესი დაიწყება  
ბალახის არასრული დასილოსების  
პრინციპით, რაც მიღებული საკვების  
დაბალი ხარისხის გამო არასასურ-  
ველია. თუ ბალახი შეჭკნება 40 %-ზე  
ნაკლებ ტენიანობამდე, მნიშვნელოვ-  
ნად გაიზრდება ბალახის მინდოორში  
დაყოვნების დრო, რითაც იზრდება  
როგორც საყუათო ნივთიერებების,  
ასევე მექანიკური დანაკარგები. რაც  
მთავარია, ასეთი ტენიანობის საკ-  
ვები ცუდად იტკეპნება და იზრდება



სურ. 2. ტრანშების სასენაჟე მასით შევსების სადლედამიხო ნორმისა (ნმ) და საკვე-  
ტრანშების დახურვის სქემა.

იგი იოლი შესაღწევია სხვადასხვა  
სოკოვანი ობისათვის, რომლის შენო-  
ვის ძალა 22,0...29,5 მპა (2200...2950  
ნ/სმ<sup>2</sup>) აღწევს.

იმის განვითარება შესაძლებელია  
აერობულ პირობებში, მისი განვი-  
თარების შეზღუდვა კი შეიძლება  
მხოლოდ სასენაჟე მასის ჰაერისაგან  
საიმედოდ იზოლირებულ გარემოში  
შენახვით. დაწნებილ სასენაჟე მა-  
საში რჩება გარკვეული, ზოგჯერ 20  
%-მდე რაოდენობის ჰაერი, მაგრამ  
იგი მცენარის უჯრედების სუნთქვი-  
სას ჩქარა იხარჯება, ამ დროს წარ-  
მოქმნილი ნახშირორუანგი კი ავსებს  
საკვების ნაწილაკებს შორის არსე-  
ბულ თავისუფალ გარემოს. ასეთ  
გარემოში ობი ვერ ვითარდება, ხო-  
ლო ჰაერის ახალი ნაკადის შეღწევის  
გარეშე წყდება უჯრედების სუნთქვა  
და იზღუდება სასენაჟე მასის ტემპე-  
რატურის 37°C -ზე მეტად გაზრდის

მისი ტემპერატურა. თუ იგი გადაა-  
ჭარბებს ტემპერატურის დასაშვებ  
ზღვარს, გამოიწვევს სასენაჟე მასის  
ჩახურებას და გაფუჭებას.

დაუშვებელია სასენაჟე მასად და-  
ბალი ტენიანობის (ვთქვათ 25...30 %)  
და წვიმის შედეგად 40...55 % ტენი-  
ანობამდე დასველებული ბალახის  
გამოყენება, რადგან შეჭკნობისას  
ბალახი პირველად კარგავს თავისუ-  
ფალ, ხოლო შემდეგ სუსტად ბმულ  
წყალს. სწორედ ამ წყალს იყენებენ  
მიკროორგანიზმები სასიცოცხლო  
პროცესებისათვის. სასენაჟე მასაში  
რჩება მიკროორგანიზმებისათვის  
შეულწევადი ბმული წყალი.

ბალახის ჭენობის პროცესში იზრ-  
დება მცენარის უჯრედების ტენი-  
შეკავების ძალა, რომელიც აჭარბებს  
ბაქტერიების შენოვის ძალას. იქმ-  
ნება გარემოს ფიზიოლოგიური სიმ-



### სურ. 3. სასენაფე კოშკები.

შრალის პირობები, ხოლო წვიმაში  
მოხვედდოს, ნანილობრივ გამშრალ  
ბალახში მიმდინარეობს სხვა პრო-  
ცესები. წვიმის წყალი ზედაპირული  
და თავისუფალი წყალია, რომელიც  
ხელსაყრელია მიკროორგანიზმების  
განვითარებისათვის. მიუხედავად  
იმისა, რომ წვიმის წყლით დასველე-  
ბული ბალახის ტენიანობა შეიძლება  
შეესაბამება შემტკიცნი სასენაჟე  
მასის ტენიანობას, ამ მასის დაკონ-  
სერვება არ შეიძლება, ვინაიდან ამ  
დროს ბალახის ფიზიოლოგიური  
სიმშრალის გარემოს მიღწევა შეუძ-  
ლებელია.

წვიმიან ამინდში მოთიბული ბა-  
ლახის დატყვევაც არ არის რეკო-  
მენდებული, ვინაიდან წვიმის წყალი,  
გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სიგრ-  
ძეზე გახლეჩილი პარკოსანი ბალახის  
ღეროს ბოჭკოებიდან გამორეცხავს  
საყუათო ნივთიერებებს, რაც საკ-  
ვებში ზრდის საყუათო ნივთიერებე-  
ბის დანარჩენას.

თუ დვარეულებში ბალახის ტენი-  
ანობა მაღალია (55...60%-ზე მეტი)  
საჭიროა მისი გადაბრუნება, ან ნაწ-  
ვერალზე გაშლა. ეს უნდა მოხდეს  
წვიმის გადაღებიდან 1,5...2,0 საათის  
შემდეგ, როცა მოთიბული ბალახის  
ზედაპირიდან ტენი აორთქლდება.

პარკოსანი და პარკოსან-მარცვ-ლოვანი ბალახების ნარევი მოთიბ-ვის დროს უნდა დაიტყვლიუოს, რათა დაჩქარდეს მათი ჭერბობის პროცესი, ახალმოთიბული პარკოსანი ბალახე-ბის დატყვლებით, კი ლეროს ბოჭკო-

ების გასწვრივ გახლეჩით იზრდება  
ტენის აორთქლების ზედაპირი და  
ფოთოლი და ღერო თანაბრად შრება.  
ეს განსაკუთრებით საჭიროა მაღალ-  
მოსავლიან სათიბებში პარკოსანი და  
პარკოსან-მარცვლოვანი ბალახების  
გათიბებისას.

დაუტყვლებავი პარკოსანი ბალახის  
მასა შრება არათანაბრად, ვინაიდან  
ფოთლების ტენიანობა ნაკლებია,  
ვიდრე ლეროსი. ამიტომ ბალახის  
გადაბრუნებისა და მოფოცხვა-შეგ-  
როვების დროს ფოთლები და ყვავი-  
ლები, რომელებიც მცენარის ღეროს  
40%-მდე შეჭერიბისას 30% და ნაკ-  
ლებ ტენიანობამდევა გამშრალი, იმტ-  
ვრება და (კვიბა).

ფოთლებში პროტეინი და კარიოტი-  
ნი მეტია, ვიდრე ლეროში და ნაკლე-  
ბია უჯრედისი, ე.ი.ფოთლებისა და  
ყვავილების ჩაცვენისას მცირდება  
მოსავლის როგორც რაოდენობრივი,  
ასევე ხარისხის მაჩვენებლები.

დატყუებული ბალახის ცვრის ზე-  
მოქმედებით დატყნიანების თავიდან  
აცილების მიზნით, ღამით ნათიბში  
დატოვება არასასურველია. ამიტომ  
დღის განმავლობაში მოთიბული და  
ოპტიმალურ ტენიანობამდე შემჭე-  
ნარი ბალახი ბოლომდე უნდა დაკონ-  
სტრუქტურის.

მინდორში შემჭკვნარი ბალახის  
გადაპრუნება და აჩერვა იწყება შექ-  
ენობის ხარისხის მიხედვით. რამდე-  
ნადაც ჩემარა მიმდინარეობს მცენა-  
რიდან ტენის აორთქლება, იმდენად  
მაღალია მიღებული საკუების ხარის-  
ხი, იყარგება საყუათო ნივთიერებე-  
ბის, განსაკუთრებით ნახშირნყლების  
ნაკლები რაოდენობა.

ბალახის შეჭრის პროცესის  
დაჩქარება შეიძლება მისი რამდენ-  
ჯარმა გათაბრუნვისთვის.

ბალახს პირველად გადააბრუნებენ მოთიბვიდან არაუგვიანეს 2...3 საა-  
თის შემდეგ, შემდგომ კი ყოველ 2...3  
საათში, საჭირობის მიხედვით.

შემჭრარი ბალახი უნდა დაიკუ-  
ნოს 30...50 მმ სიგრძეზე, ამავე დროს  
მასში 30 მმ სიგრძის ნაკუნი უნდა  
იყოს არანაკლებ 75% მხოლოდ ასეთ  
ზომაზე დაკუნტული სასენაჟე მასა  
იძლევა საცავში კარგად დატკეპნისა  
და თვითჩარებისაგან დაცვის სა-  
შუალებას.

ბალახის კვებითი ღირებულება,  
გარდა მოთიბვის ვეგეტაციის ფა-

ზეპის დაცვისა, დამოკიდებულია  
მოთაბვის დროზეც. ბალახის თაბ-  
ვას იწყებენ ადრე დილით. ამ დროს  
ბალახში მაღალია კაროტინის შემ-  
ცველობა, 6-დან 9-საათის შემდეგ  
იგი მცირდება, ხოლო საღამოს ისევ  
იწყებს ზრდას. დილისა და დღის სხვა  
საათებში კაროტინის შემცველო-  
ბის განსხვავება ბალახში შეადგენს  
40...50%-ს. გარდა ამისა ბალახის  
შეჭრნობის ინტენსივობა დილის სა-  
ათებში გათაბვისას 2,5...3,0-ჯერ  
მეტია დღის ცხელ საათებში გათიბ-  
ვასთან შედარებით.

მაღალი ხარისხის სენაჟის დამზა-  
დების ზემოთაღნერილი მოთხოვ-  
ნები საფუძვლად დაედო სენაჟის  
დამზადების ტრადიციულად არსე-  
ბული ტექნოლოგიის დამუშავებას,  
რომელიც მეურნეობის ტექნიკური  
პაზის მდგომარეობის, აგრეთვე კლი-  
მატურ-ეკონომიკური პირობების  
მიხედვით, შედგება შემდეგი ოპერა-  
(კი)ებისაგან:

ბალახის მოთიბევა (პარკოსნების დატყულებით);მოთიბული ბალახის ნათიბში დატოვება,ან ღვარეულე-ბად დაწყობა;შემჭკნარი სასენაჟე მასის ღვარეულებიდან აღება, და-კუწვა,ტრანსპორტზე დატვირთვა და ტრანსპორტირება;სასენაჟე მასის საცავში ჩატარება და დატკეპნა;სასენა-ჟე მასის პერმატულად დახურვა.

ტრანშეაში სასენაჟე მასის შეტანა  
იწყება ტორსული მხრიდან თვითმ-  
ცლელი მანქანების გამჭოლად გა-  
ტარებით ან გვერდითი კედლებიდან  
ჩაყრით. საცავში სასენაჟე მასას ანა-  
ნილებენ ფენებად და იწყებენ ტრაქ-  
ტორით საცავის აგსებამდე განუწყ-  
ვიტლად ტკიპნას (სურ. 1).

ტრანშება უნდა შეიგსოს 3...4 დღის  
განმავლობაში. ამისათვის საჭიროა  
მასში ყოველდღიურად 60...75 სმ  
სისქის ფენის სასენაჟე მასის შეტანა  
და ავსების შემდეგ პერმეტულად და-  
ხურვა (სურ. 2).

სასენაჟე მასით სავსე ტრანშეას  
ხურავენ პოლიტიკურნის აფსკით და  
ზემოდან აყრიან 10...20სმ სისქის მი-  
ნის ფენას.

ტრანშეა და კოშკი რეკომენდებულია სათიპების დიდი მასივებისა და დიდი სულადობის ფერმებისათვის. 500 ტ. ტევადობის ტრანშეა გათვალისწინებულია არანაკლებ 150 სულიანი მსხვილეული საქონლის ჯერმისათვის და ტექნოლოგიით

გათვალისწინებულ ვადებში ასაკებად საჭიროებს ყოველდღიურად 100 ... 150 ტ. სასენაჟე მასას.

კოშკი (სურ.3) შედარებით სრულყოფილი ტიპის საკვების საცავია, მაგრამ მისი აშენება 1,3 ... 1,5 -ჯერ ძვირი ჯდება ტრანშეასთან შედარებით და რეკომენდებულია 400 სული-ანი ფერმებისათვის.

სენაჟის არსებული ტრადიციული ტექნოლოგიის ერთ-ერთი სუსტი რგოლი, რაც საყოველთაოდაა აღიარებული, საკვების საცავია. როგორც პრაქტიკული გამოყიდვებით დასტურდება, ტრანშეა (ნანილობრივ კოშკიც) სრულად არ აქმაყოფილებს სენაჟის დამზადების არსებულ ტექნოლოგიასა და ექსპლუატაციის მოთხოვნებს, რაც პირდაპირ აისახება დამზადებული საკვების ხარისხები. რთულია დიდი ტევადობის ტრანშეას სასენაჟე მასით 3 ... 4 დღეში ავსება, ტრაქტორით დღე-დღეში 18 საათის განმავლობაში განუწყვეტელი ტკეპნა, პერმეტულად დახურვა და შენახვა, ტრანშეადან საკვების ხარჯვის პროცესში გახსნილი ზედაპირის მართვა და სხვა.

საზღვარგარეთის ქვეყნებში ინტენსიური კვლევებია ჩატარებული სენაჟის დამზადების არსებული ტექნოლოგიის სრულყოფის მიზნით.

სენაჟის დამზადების ახალი ტექნოლოგია, რომელმაც ფართო გამოყენება პპოვა, არის დაწესებილი სენაჟის პოლიმერულ მასალაში შეფუთვა და შენახვა.

ტრადიციული ტრანშეის ტიპის საკვების საცავთან შედარებით პოლიმერულ მასალაში შეფუთული საკვების დამზადების ტექნოლოგიის უპირატესობა ის არის, რომ მინიმალურია საკვებში არსებული საყუათო ნივთიერებების დანაკარგები, ვინაიდან შექმნილია ბალახის მაღალი კვებითი ღირებულებების ფაზაში შემჭიდროებულ ვადებში მოთიქვისა და შეჭკნობის პირობები, ხოლო მექანიკური დანაკარგები უმნიშვნელოა იმის გამო, რომ ოპტიმალურ ტენიანობამდე შემჭკნარი ბალახი ჯერ კიდევ ინარჩუნებს დრეკადობას, არ იმტკრევა და არ ცვიგვა. ასეთ პირობებში დამზადებული და შენახული საკვები მაღალი ხარისხისაა, რაც ცხოველის სრულყოფილი კვების გარანტია.

მსოფლიოს განვითარებული

მეცხოველეობის ქვეყნებში გამოიყენება პოლიმერულ მასალაში შეფუთული სენაჟის დამზადების რამდენიმე ხერხი:

რულონებში დაწესებილი და პოლიეთილენის აფსეში შეფუთული სენაჟის დამზადება და შენახვა;

დაწესებილი რულონის პოლიმერულ ტომარაში შეფუთვა და შენახვა;

დაკუნული სასენაჟე მასის პოლი-

მერულ ტომარაში შეფუთვა და შე-

ნახვა.

შეფუთული სენაჟის დამზადების ურთიერთგანსხვავებულ ხერხებს გააჩნია განსხვავებული ტექნოლოგიები და საექსპლუატაციო თავისებურებები, მაგრამ მათ აერთიანებთ ერთი საერთო შედეგი – მაღალი ხარისხის საკვები და მექანიზაციის დონე.

პოლიმერული მასალების გამოყენებით საკვების დამზადების პროცესს ვერ აფერხებს ცუდი ამინდი. საკვების დამზადების პროცესის შეჩერება დანაკარგების გარეშე შეიძლება ხელსაყრელი ამინდის დაგომამდე.

პოლიეთილენის აფსეში შეფუთული სენაჟის დამზადების არსი და უპირატესობა არის ის, რომ ბალახის მოთიქვიდან შეფუთვამდე საჭირო დრო მინიმუმამდე დაყვანილი, ვინაიდან პილიეთილენის აფსეში შეფუთული თითოეული რულონი წარმოადგენს შეფუთულ მინისაცავს და მისი ცალ-ცალკე შეფუთვა ან ცხოველის საკვებად გამოყენება არ არის დაკავშირებული არსებული, ტრადიციული ტექნოლოგიით გათვალისწინებულ ცონბილ შეზღუდვებთან.

შეფუთული სენაჟის რულონებში დაწესებისა და ჰერმეტულად შეფუთვის შემდეგ მასში წყდება მცენარის უჯრედების სუნთქვა და არასასურველი მიკრობიოლოგიური პროცესე-



სურ.4. შეფუთული სენაჟის რულონები (ა) და სენაჟის საცავი პოლიმერული ტომრები (ბ).

ბი. დამზადებული საკვები საყუათო ნივთიერებებით ახლოსაა საწყის ნედლეულთან.


სენაჟის რულონებში დამზადებისა და პოლიმერულ ტომრებში შეფუთვის პროცესი შეფუთული სენაჟის რულონებში შეფუთვის ტექნოლოგიისაგან განსხვავდება მხოლოდ დასკვნითი ოპერაციებით. დაწესებილი რულონი ინდივიდუალურად შეფუთვის ნაცვლად, სპეციალური ვალცებიანი საწესები მანქანით, მიმდევრობით იდება და ინახება თავისივე დიამეტრის მქონე პოლიმერულ ტომარაში. რულონისა და პოლიმერული ტომრის დიამეტრები 1,5 მ-ია, პოლიმერული ტომრის სიგრძე 31 ან 60 მ-ია. 60 მ-ის პოლიმერულ ტომარაში თავსდება 43 რულონი, ანუ 28...30 ტ. სენაჟი.

შეფუთული სენაჟის დამზადების მესამე ხერხი – დაქუცმაცებული სასენაჟე მასის პოლიმერულ ტომარაში მოქცევა შეიძლება სპეციალური წნევა-საფუთავით. მინდორში შემჭიდრა სასენაჟე მასა აიღება თვითმავალი კომბაინით, დაქუცმაცდება და იგზავნება ცხოველის საფორმათან გამართულ პოლიმერულ ტომარასთან, იცლება წნევა-საფუთავის მიმღებ ბუნებრივი და ინწესება პოლიმერულ ტომარაში. დაწესებილი სასენაჟე მასის სიმკვრივე 650 კგ/მ<sup>3</sup> აღწევს..

საკვების დაკონსერვების დროს გამოიყოფა დიდი რაოდენობის გაზები, რომელიც უნდა გამოიიდებონს პოლიმერული ტომრის ავსებისა და ჰერმეტიზაციის შემდეგ. პოლიმერული ტომრის სიგრძეზე 2...3 ადგილას აყვენებენ სპეციალურ სასუნთქვავ სარქველებს, რომელთაც კეტავენ ტომრიდან ჰერმიტიზაციის გამოშვების შემდეგ.

შეფუთული სენაჟის დასამზადებელ მანქანათა კომპლექსში პირველი და მნიშვნელოვანი რგოლია





სურ. 5. ბალახის მოთიბენისა და პოლიმერულ ტომარაში შეფუთვის ტექნოლოგიური პროცესის სქემა

1. ბალახის მოთიბენი სათიბელა-სატყლეშელათი; 2. ბალახის აჩერეა - გადაბრუნება ფოცხით; 3. შემჭერარი ბალახის დვარულებად დაწყობა ფოცხით; 4. დვარულებიდან ბალახის წნება-ამკრეფით აკრეფა და დანწეხა; 5. დანწეხილი რულონების გალცებიანი საწნე-ხით პოლიმერულ ტომარაში ჩანწება.

სათიბელა, ამიტომ მისი შერჩევა და განსაკუთრებით სამუშაოდ გამზადება განსაზღვრავს ბალახის საწყისი სარისხის შენარჩუნებას.

ჩაწოლილი და აბურდული ბალახის გასათიბად რეკომენდებულია დისკური (როტორული) სათიბელას გამოყენება. პარკოსანი ან პარკო-სან-მარცვლოვანი ბალახანარევის გასათიბად უმჯობესია ვალცებიანი სათიბელა - სატყლეშელა, რომელიც პარკოსანი ბალახების ღეროების სიგრძეზე დახლეჩით ზრდის აორთქლების ზედაპირს. მარცვლოვანი ბალახების გასათიბად იყენებენ თითებიან - სეგმენტებიან სათიბელებს.

ბალახის მინდორში შეჭრის პროცესზე დაკვირვებით დადგენილია, რომ მოთიბული ბალახის შეჭრის პროცესის დაჩქარების ფაქტორი არამარტო მზის სხივების ზემოქმედებაა, არამედ ბალახის მასის ინტენსიური განივეხბაც. ღრუბლიან

ამინდში ნიავი (ქარი) ითვლება ბალახის შრობის ერთ-ერთ ფაქტორად, ამიტომ მისი რეგულარული აჩერეა - გადაბრუნება სარისხიანად შემჭერარი ბალახის დამზადების აუცილებელი ოპერაციაა.

თანამედროვე ტექნოლოგიებით გათვალისწინებულია ასაჩერ-საბრუნებელი მანქანის ან ფოცხის გამოყენებით ბალახის აჩერეა-გადაბრუნება. ამ ღონისძიებით შესაძლებელია ბალახის შეჭრის პროცესს 15...20%-ით დაჩქარება (ღრუბლიან ამინდში 50%-მდე).

ყველაზე დიდი მოთხოვნები წაეყნებათ იმ მანქანებს, რომლებიც გამოიყენება ოპტიმალურ ტენიანობამდე შეჭრარი ბალახის საბოლოოდ დასამუშავებლად. ასეთია ფოცხი და წნება-ამკრეფი მანქანები. სწორედ ამ ეტაპზე მცენარის ფოთლები ძალიან მგრძნობიარეა მანქანის სამუშაო ორგანოების აქტიური ზემოქმედების მიმართ.

ცნობილია როტაციული და თითებიან-ბორბლებიანი ფოცხები. მათ შორის ყველა პარამეტრით (ღირებულება, ხანგამდლეობა, მცენარესთან და ნიადაგთან კონტაქტი, მნარმოებლურობა, ენერგიის ხარჯი.) უპირატესობას ანიჭებენ ბორბლებიან-თითებიან ფოცხებს.

თანამედროვე სასენაჟე მასის ამკრეფ-საწნეხი მანქანებიდან მაღალი საექსპლუატაციო მაჩვენებლებით გამოიჩინება კომბინირებული საწნეხკამერიანი მანქანები.

დღეისათვის სათიბების დიდ მასივებში საკვების დასამზადებელი მანქანების საერთაშორისო ბაზარზე, არის შეფუთული სენაჟის ამკრეფ-საწნეხი და ერთ მანქანაში გაერთიანებული ამკრეფ-საწნეხ-საფუთავი მანქანების ფართო არჩევანი.

**რეზო რუსიზალი,  
საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტი**



სურ. 6. შეფუთული სენაჟის დასამზადებელი მანქანები.

1. შემჭერარი ბალახის აკრეფა და დანწეხა რულონებული წნება-ამკრეფით; 2. რულონის შეფუთვა პოლიეთილენის აფსკით. 3. შეფუთული რულონის გადატანა სატაცით.

ରୂପରୀତିକାରୀ ଶପଣ୍ଡରେବା „ମନ୍ଦିରାଳ୍ୟରେ ଯେବେଳେ“

# გაიცავით 28 წლის ვეტერინარი უჩა უმატაპე!

მისი აზრით, ფერმერებში ხელოვნური განაკყოფილობისა და კიტ-

Սերցուսէցին մօմարտ ոճքէրը և սյուլ  
սյորո օճրգեծա. տպա 4 նվուն նօն եց-  
լոցնոր գանապոցուրէն է սերցուսէց  
լուրջնուլլեծ 20 լարո ոյս, դղյէս 30  
լարու. պիհա կմապոցուլու, րոմ միսու  
սաշմունքնուն թշրից գած յօնծուլլետու  
սոսոցլեծի ու ուրուցուցու չումոնքրուզո  
ու զեքէրունարուլո մժգոմարունա,  
ասցազ սաշմունքնուն Յորուգույլունու  
գայումչունք է. դղյէս ու յօնծուլլետու  
95 000-ուն մոսակլունքնուն բաշու բնոնքունու  
ու սափուրո Երևան գաեծա.



უჩამ ქობულეთში ვეტერინარი შე-  
მოსავლიან და მნიშვნელოვანი რო-  
ლის მქონე პროფესიად წარმოაჩინა.

## କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

მოგვიცებული არ დარჩებთ, ტელ.: 595 80 80 81; ელ.ფოსტა: info@agro.ge  
პასუხს მიიღოთ უსრულა „ახალი აგრძარული საქართველოს“ საჭურავებით.

1. მყავას გორგები და მიღება გავიზუარდო სახლოცელ. გა-  
იცნებოდებას რამდენ ხანში მივაღწევ სასაკლაონ ცონას  
და რა პერიოდზე?

სასაკლაო წონა (80-90კგ) მიიღევა მაქსიმუმ 5-6 თვეში, თუ, რა თქმა უნდა, ჯიში და მოზარდის ჯანმრთელობა დამაკმაყოფილი იქნება.

სწორად დაბალანსებული საკვების გამოყენების შემთხვევაში კონკრეტური შეადგინს – 2,8 კგ-დან 3 კგ-ს.

2. ქრონის საცველი აპარატის გამოყენება რადღენად მიზანშეცონილია და აქვს თუ არა უარყოფითი მხარეები. აჩინს თუ არა გასტიტუს? რომელ აპარატს გვირჩევთ?

სანველი აპარატების სწორი მოხმარება არ იწვევს უარ-ყოფით შედეგს. პირიქით, მონანველი იზრდება 10%-ით (ვიდრე ხელით წველის დროს). ბაზარზე არის LUKAS -ის ფირმის ჰოლანდიური აპარატები, რომელიც დიდიხანია კარგად მუშაობს და აპრობირებულია.

3. პროილერის ქათმის გამოზრდა თუ არის შესაძლებელი და რა ჭვერა?

ბროილერის გამოზრდა შესაძლებელია მოხდეს გამო-  
ჩეკვითან 35 დღეში. ხარჯნარმოქმნა შემდგავნაირია:

- ## 1. ნინივი – 1ၣ.

2. ՅՅՂԸ – ՏՈԹԻՆԳՈ 2,38 = 1,4 Ը.

- კონკურსი - 2,20 ლარი.

3. ვაძლინები და საკვებდანამატები – 0,15 ლ.

4. სხვა ხარჯები – 0,20 ლ.

შედეგი 35 დღეში – ცოცხალი წონა 2კგ, სუფთა ხორ-  
(30 – 1,7 კგ.

4 რითი შეიძლება დავამუშაო ჟისხი ცლევანდელი ბატყანი მოაგო?

ანტიპელმინთური დამუშავება მთაში მიზანშეწონილია ასვლიდან 2 კვირაში. მაღალეფექტური საშუალება – „ბიოზანი 500“ – 1 ტ – 30 – 50 კგ – ც.ნ.–ზე გაანგარიშებით.

## 5. ማስታወሻ የሚከተሉት ትናቸውን መሆኑን አጭር የሚያሳይ

რეზიურვარში სასმელი წყლის დეზინფექცია ტარდება ისეთი საშუალებებით, რომელიც არ ტოვებს ნარჩენებს და არ აბინძურებს წყალს სხვადასხვა ქიმიური ნარჩენებით. სწორედ ასეთ საშუალებას მიეკუთვნება ესპანური წარმოების სადეზინფექციო საშუალება „აპსაციდ პერიქსიდი 50“, რომლის 1 ლ იხსნება 33 ტონა სასმელ წყალში.



## კეთილშობილი ქაცი, მეგრებარი და კოლეგა

ჩელია წარსულ დროში იღავარაკო კეთილშობილ ადამიანზე, უღა-  
ატო მეგობარზე, თავის ძველანეზე უსაზღვროდ შეიცვარებულ პიროვ-  
ნებასა და ლამაზი მჯახის მამაზე. დიას, სცორედ ასეთი იყო გელა  
ილისგის მი მაშარაშვილი, ასეთს ვიცხოგდით მას ჩვით, თანამშრომლე-  
ბი და ასეთი დაამახსოვრდება ის ფართო საზოგადოებასა და ნაცოვ-  
მეგობრებს.

დაიბადა 1946 წელს ქალაქ ქუთაისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გაავრცელა ქ. ოჯორნიკიძეში მთის სასოფლო-სამეურნეო ინსტი-  
ტუტის ზოოტექნიკურ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ ამავე ინსტიტუტის მეცხოველეობის კათედ-  
რაზე სამუშაოდ დარჩენა შესთავაზეს. მოგვიანებით გელამ წარმატებით ჩაა-  
ბარა მისალები გამოცდები ასპირანტუ-  
რაში და ცნობილი მეცნიერის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის გაიოზ ავსაჯანიშვილის ხელმძღვანელო-  
ბით დაამუშავა საკვალიფიკაციო თემა, რომელიც 1982 წელს წარმატებით და-  
იცვა და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გე-  
ლა მაჭარაშვილმა მუშაობა დაიწყო სა-  
ქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერი-  
ნარო სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში, შემდეგ კი მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მიხეილ რჩე-  
ულიშვილის მიწვევით გადავიდა ზოო-  
ლოგიის ინსტიტუტის მეცხოველეობის ბიოლოგიური საფუძვლების სამეცნიე-  
რო-კვლევით ლაბორატორიაში, ცხვრის გენეტიკისა და სელექციის განყოფილე-  
ბაში.

სწორედ აქ გამოვლინდა ბატონი გე-  
ლას მაღალი პროფესიონალიზმი, ღრმა თეორიული ცოდნა, პრაქტიკული გა-  
მოცდილება და მეცნიერული ალო. მეცნიერ-თანამშრომლის, შემდგომ კი განყოფილების გამგის პოზიციაზე მუ-  
შაობისას მისი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით მრავალი სამეცნიერო-  
კვლევითი თემა და ადგილობრივი თუ საზღვარგარეთის ქვეყნების მიერ მოწო-  
ნებული გრანტის პროექტი დამუშავდა.

მას გამოქვეყნებული აქვს 90-ზე მე-  
ტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა  
შორისაა მონოგრაფია და პროშურები,  
რომლებმაც მეცხოველეობის დარგის  
სპეციალისტებში დიდი მოწონება დაიმ-  
სახურა და გახდა მათი სამაგიდო სახელ-  
მძღვანელო.

ბოლო ორი წელი ის იყო საზღვარგა-  
რეთის ექსპერტების მიერ მოწონებუ-  
ლი და შოთა რუსთაველის ეროვნული  
სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინან-  
სებული სამეცნიერო-კვლევითი პრო-  
ექტის მეცნიერ-მკვლევარი, რომელსაც  
საქართველოსა და მსგავსი კლიმატის  
ქვეყნების მეცხოველეობისთვის მრავა-  
ლი პრობლემური საკითხის გადაწყვეტა  
შეუძლია.

ჩვენ, ადამიანები, უფლის ნებით მო-  
ვევლინებით ამ ქვეყანას და მისი ნებით-  
ვე გადავინაცვლებთ მარადიულ სასუ-  
ფეველში, მაგრამ, ვფიქრობ, ეს ყოვლის  
გამსწორებელი სიკვდილი ვერ ერევა  
სიყვარულს, სიყვარულს, რომელიც  
მეგობრებისა და ახლობლების მეხსიე-  
რებაში აცოცხლებს ხსოვნას. სწორედ  
ასეთი ხსოვნა დარჩა მეგობრებს ბატონ  
გელაზე.

ვუთანაგრძნობთ გელა მაჭარაშვილის  
ლამაზ იჯახს, მეუღლეს, შვილებსა და  
ოთხ შვილიშვილს ამ მძიმე დანაკლისის  
გამო.

უფალმა დაგიმკვიდროს სამუდამო სა-  
სუფეველი, ერთგულო მეგობარო!

### გვარეში

უურნალ „ახალი აგრარული საქართვე-  
ლოს“ რედაქციის უერთდება კოლეგებისა  
და მეგობრების წუხილს და სამძიმარს  
უცხადებს გარდაცვლილის თჯახს.



MASSEY FERGUSON



YOUR  
WORKING  
MACHINE



VALTRA

YOUR  
WORKING  
MACHINE

*Challenger*



 **AGCO**  
Your Agriculture Company

ოფიციალური დილერი  
**WORLD TECHNIC**  
მსოფლიო  ტექნიკ  
[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge) E-mail: [info@worldtechnic.ge](mailto:info@worldtechnic.ge)  
+995 290 50 00; +995 218 18 81



ლომთაგორა  
LOMTAGORA

ფირმა ლომთაგორა  
გთავაზოდთ კართველი ხორბლის  
ცენტრის მიერ თასრე - ერისა

უცვი მოსავლისათვის



დაგვისავშილდით!

„ფირმა ლომთაგორა“ ტელ.: 591 20 25 25, 551 62 49 49, 591 150 154.

info@lomtagora.com; www.lomtagora.com